# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 დეკემბერი 2005 №294 (2617) ფასი 50 თეთრი






# ტოპმიოლერი საქართველოს, ჰოფენჰაიმსა და ოჯახს შორის

## დღეს ან ხვალ...

## კიოლნი ჩამოგვშორდა, მოლოდინი დაგვრჩა

ისეთი რა უნდა მომხდარიყო, საფეხბურთო საქართველოს ყურადღება გერმანული „კიოლნისკენ“ ყოფილიყო მიპყრობილი. არადა, გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ველოდით, რა პასუხს გასცემდა უმწვრთნელოდ დარჩენილ ბუნდესლიგურ კლუბს საქართველოს ნაკრების წინამძღოლად შეგულებული კლაუს ტოპმიოლერი. დღის ბოლოს მიმდინარე პროცესებში ყველაზე ინფორმირებულ პირს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს დავუკავშირდით...

— როგორი განწყობა გაქვთ?

— ჩვეულებრივი, საქმიანი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიიდან დამაიმედებელი პასუხი მიიღეთ?

— ტოპმიოლერის საბოლოო პასუხზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმც დღეს მას ორჯერ ვესაუბრე. როგორც ტოპმიოლერმა მითხრა, „კიოლნის“ განვრთნაზე ოფიციალურად განუცხადა უარი ამ კლუბის წარმომადგენლებს, ანუ ერთი კონკურენტით ნაკლები დაგვრჩა.

— და ვინ არის სადღეისოდ ჩვენი კონკურენტი?

— დღესვე ტოპმიოლერს შეხვედრა ჰქონდა „ჰოფენჰაიმის“ მფლობელ დიტმარ ჰოპთან. სავარაუდოდ, არჩევანის გაკეთება სწორედ „ჰოფენჰაიმსა“ და საქართველოს ნაკრებს შორის მოუწევს.

— რამდენად დიდია ჩვენი შანსი?

— როგორც ტოპმიოლერმა მითხრა, მხოლოდ მისი გადასაწყვეტი რომ იყოს, ქართულ ვარიანტს ირჩევდა. თუმცა ისიც არ დაუმალავს, მინდა, ოჯახის წევრებს ვესაუბრო და გადაწყვეტილებასაც მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებო. ეს ბუნებრივიცაა — რამდენიმე წლით საცხოვრებლად უცხო ქვეყანაში გადასვლა არ არის იოლად გადასადგმელი ნაბიჯი.

— როდის გველოდინება გერმანელი მწვრთნელის საბოლოო პასუხი?

— დღესვე, მოგვიანებით მას კიდევ ერთხელ ვესაუბრები, თუმცა გადაწყვეტილების მისაღებად ტოპმიოლერების ოჯახს ერთი დღე მაინც დასჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი პასუხი 25 დეკემბრამდე გვეცოდინება.

**P.S.** მოგვიანებით ნოდარ ახალკაცს კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ. მისი თქმით, ტოპმიოლერმა ერთხელაც დააფიქსირა, რომ დღეს თუ არა ხვალ, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. თავად ნოდარ ახალკაცს კი ეიმედება, რომ უკვე ალმასკომის დღევანდელი სხდომის შემდეგ გასამართ პრესკონფერენციაზე შეეძლება ჩვენთვის უფრო კონკრეტული და მნიშვნელოვანი ამბის თქმა.

**გიორგი ნოზაძე**

# დინამოს ქუდზე კაცი
## დაკარგული ჭელიძე და დასაბრუნებელი ახალაია


ლადო ახალაია



ჟულიენ ოლბეკი

**საქართველოს** ჩემპიონი თბილისის „დინამო" გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა და მზადებას შეუდგა.

„დინამომ", ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, დაიბრუნა ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩემპიონატის პირველ წრეში სხვა გუნდებში ჰყავდა განათხოვრებული: შემოდგომაზე ბოლნისის „სიონში" მოთამაშე ჯაბა დვალი, ლევან ხმალაძე, გიორგი ქუცურუა და გიორგი კვიტაიშვილი; მიხეილ კაკალაძე და ირაკლი თოთლაძე, რომლებიც „ბათუმში" იყვნენ; იანვრიდან „დინამოს" დაუბრუნდება შვეიცარიულ „ციურიხში" განათხოვრებული ლადო ახალაიაც.

ჯერ გაურკვეველი მიზეზების გამო შეკრებაზე არ გამოცხადებულა გიორგი ჭელიძე. მის საკითხს კლუბის ხელმძღვანელობა საგანგებოდ განიხილავს და სათანადო ზომებს მიიღებს. პირველი წრის „დინამოს" დააკლდა ორი ფეხბურთელი: არჩილ სახვაძეს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ხოლო ალეკო ამისულაშვილი კიევის „დინამოში" დაბრუნდება — მას უკრაინელებთან კონტრაქტი კიდევ აკავშირებს.

„დინამოსთან" ერთად გუშინ პირველად ივარჯიშა 19 წლის ფრანგმა მცველმა ჟულიენ ოლბეკმა, რომელიც გუნდში გასინჯვაზეა და დარჩება თუ არა თბილისში, ახალ წლამდე გაირკვევა. დინამოელებმა ფედერაციასთან შეთანხმებით საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებიდან გამოიხმეს კახა მახარაძე, გულვერდ თომაშვილი და ირაკლი ჩირიკაშვილი. ეს ჭაბუკები ახლა კლუბში იქნებიან და თანაგუნდელებთან ერთად თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირისთვის მოემზადებიან.

თბილისის „დინამოს" ახალ წლამდე ორი ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი. კახა ცხადაძე შეგირდებს „თბილისთან" და ჯერ დასაზუსტებელ სხვა გუნდთან ათამაშებს. ამ საწვრთნელ შეხვედრებამდე „დინამო" ფიზიკური კონდიციების აღსადგენად ივარჯიშებს.

**კობა ინასარიძე**

# თანამეგობრობა სერბეთს ან ბულგარეთს დაიმეგობრებს

**თანამეგობრობის** თასი წლიდან წლამდე უინტერესო ხდება, არც იანვარში ელიან მოსკოვურ მანეჟში ვარსკვლავურ ფეხბურთს და გადაჭედილ ტრიბუნებს. თუმცა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოს ამ ტურნირის პოპულარიზაცია განუზრახავს, 2007 წლიდან ტურნირის ფორმატიც შეიცვლება და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ნაცვლად მეთექვსმეტე მონაწილე ბულგარეთის ან სერბეთის ჩემპიონი იქნებაო.

და კიდევ, მუტკოსვე თქმით, 2007 წლიდან თანამეგობრობის თასს ახალი სპონსორი ეყოლება კომპანია „ტრანსტელეკომის" სახით.

შეგახსენებთ, ერთ თვეში თანამეგობრობის ტურნირზე თბილისის „დინამო" ითამაშებს.

# ჭიათურას ეშველებაო?
## პრომინვესტი ზემო იმერეთისკენაც იყურება

**ხმა დაირხა,** ბოლნისის „სიონის" გარდა, რუსული კომპანია „პრომინვესტი" ჭიათურის „მაღაროელსაც" მიხედავსო. როგორც გაირკვა, „პრომინვესტის" ხელმძღვანელები „ჭიათურმანგანუმის" შესყიდვითაც არიან დაინტერესებულნი და იმასაც ამბობენ, თუ ეს მოხდა, კლუბსაც ვუპატრონებთო.

„მაღაროელი" ახლა პირველი ლიგის აუტსაიდერია და თითქოს ნულიდან დასაწყები საქმე რა მომხიბვლელია, მაგრამ... ჩვენ ჭიათურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ მამუკა გოგატიშვილს დავუკავშირდით, რომელზეც „მაღაროელის" პრეზიდენტმა თემურ ბიწაძემ გვითხრა, ფეხბურთი ძალიან უყვარს და კლუბსაც ეხმარებაო.

„ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით „ჭიათურმანგანუმის" შესყიდვაზე. ისე, „მაღაროელი" მუდამ ამ საწარმოს კლუბი იყო, მაგრამ „ჭიათურმანგანუმს" კერძო ინტერესის ობიექტი ჯერ არ ჰყავს და იმედია, მალე ეყოლება. „მაღაროელი" რაიონის ბიუჯეტში ჩავსვით, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ გუნდის გადარჩენას" — გვითხრა მამუკა გოგატიშვილმა.

„მაღაროელის" პრეზიდენტმა თემურ ბიწაძემ ისიც გვითხრა, ვიცი, „პრომინვესტი" რომ აპირებს „ჭიათურმანგანუმის" შესყიდვას და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ახალი წლის შემდეგ კლუბსაც ეშველება, მეორე წრიდან „მაღაროელი" ქულების გამცემი მანქანა აღარ იქნება და უნდა ვეცადოთ, პირველ ლიგაში როგორმე ადგილი შევინარჩუნოთო.

„გუნდიდან ხუთ-ექვს ფეხბურთელს გავუშვებთ და ბევრ ახალს მოვიყვანთ. „მაღაროელს" გვერდში უდგას ჭიათურის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ნიკო მოდებაძე,


ჭიათურის გამგებელი მამუკა გოგატიშვილი

გამგეობაც შეძლებისდაგვარად ჩვენთანაა და ასე გაგვაქვს თავი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო თანხა, 15 000 ლარი გვაქვს დავალიანება. ამასაც გავისტუმრებთ და თუ „ჭიათურმანგანუმი" „პრომინვესტმა" შეიძინა, მთლად უკეთესი".

**ნუკრი ლოლაძე**



# აი, რატომ...

რატომ შეიძლება დათანხმდეს კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების გაწვრთნას?

იმიტომ, რომ...

- კლაუს ტოპმიოლერს უცხოეთში ჯერ არ უმუშავია და მისთვის საქართველოში ჩამოსვლა საინტერესო უნდა იყოს.
- კლაუს ტოპმიოლერს სთავაზობენ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობას, ეროვნული გუნდის პირველკაცობა კი ნებისმიერი მწვრთნელისთვის უფრო პრესტიჟულია, ვიდრე კლუბის გაწვრთნა.
- კლაუს ტოპმიოლერი ამბიციური მწვრთნელია და უსახელო გუნდში მუშაობა მისთვის მართლაც გამოწვევა იქნება.
- კლაუს ტოპმიოლერს ხელის გულზე აქვს თანამემამულე ოტო რეჰაგელის მაგალითი, რამაც ტოპმიოლერს საქართველოს ნაკრებთან ერთად წარმატების მიღწევის სურვილი უნდა გაუძლიეროს.
- კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანის შემთხვევაში სოლიდურ პრემიას მიიღებს.
- კლაუს ტოპმიოლერის ჩვენთან მუშაობას მიესალმება თითქმის მთელი საფეხბურთო საქართველო.
- კლაუს ტოპმიოლერმა თბილისში ყოფნისას თავადვე თქვა, ყველა შემოთავაზებულ წინადადებაზე წინ ქართველების სიტყვა დგასო.
- კლაუს ტოპმიოლერი სანახაობრივ ფეხბურთს ქმნის, რისი მუდამიც ქართველებს მუდამ თავისად მიაჩნდათ.
- კლაუს ტოპმიოლერი თბილისიდან შინ მოხიბლული დაბრუნდა.
- კლაუს ტოპმიოლერი კარგად იცნობს უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობებს.

რატომ გვსურს, რომ კლაუს ტოპმიოლერმა გაწვრთნას საქართველოს ნაკრები?

იმიტომ, რომ...

- კლაუს ტოპმიოლერი ტოპ-კლასის სპეციალისტია.
- კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთაგან საუკეთესოა.
- კლაუს ტოპმიოლერი უნდა გამოდგეს ერთხელ და ნაღდად გადადგმული ის ნაბიჯი, რომელსაც რა ხანია, ამაოდ ელის მთელი საქართველო: ჩაბარდეს ეროვნული გუნდი მართლა მწვრთნელს.
- კლაუს ტოპმიოლერი დიდი ავტორიტეტია და ქართველი ფეხბურთელები მას უსიტყვოდ დაემორჩილებიან.
- კლაუს ტოპმიოლერს მოკლე დროში შეუძლია გუნდის გაკეთება.
- კლაუს ტოპმიოლერს ალბათ სურს ოტო რეჰაგელის გზას გაჰყვეს და უსახელო გუნდთან ერთად წარმატებას მიაღწიოს.
- კლაუს ტოპმიოლერისა და ქართველების ფეხბურთმა ერთმანეთი არ უნდა „იუცხოონ".
- კლაუს ტოპმიოლერი ამბობს: საქართველოს ნაკრებში მუშაობის დასაწყებად ჩემთვის გადამწყვეტი სპორტული ფაქტორი იქნება და არა ფინანსურიო.
- კლაუს ტოპმიოლერს ცივილიზებული ურთიერთობა ექნება ჟურნალისტებთან.
- კლაუს ტოპმიოლერს ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდება, ვინაიდან საქართველოს ნაკრების ოთხი ფეხბურთელი უკვე რა ხანია, გერმანიაში თამაშობს.

რატომ შეიძლება თქვას უარი კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებზე?

იმიტომ, რომ...

- კლაუს ტოპმიოლერთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკება არასწორად წარმართა.
- კლაუს ტოპმიოლერის ფინანსური მოთხოვნები ქართველებმა ვერ დააკმაყოფილეს.
- კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოში ცხოვრება არ ისურვა.
- კლაუს ტოპმიოლერის ოჯახმა საქართველოში ცხოვრება იუარა.
- კლაუს ტოპმიოლერმა ჩვეულ გარემოში, გერმანულ ფეხბურთში ყოფნა ამჯობინა.

**კობა ინასარიძე**

# გეგუჩაძემ დარსაძე-ახალკაცს დოკუმენტებითაც შეუტია



თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ გუშინ პრესკონფერენცია მოაწყო — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მის, როგორც მწვრთნელის კომპეტენციას არ ცნობს და B ლიცენზიას არ აძლევს — ეს იყო გუშინდელი პრესკონფერენციის თემა.

ამ საკითხზე გეგუჩაძეს „სარბიელმა“ დაახლოებით ერთი თვის წინ ჩამოართვა ინტერვიუ. იმასაც შეგახსენებთ, რომ გეგუჩაძის ხელმძღვანელობით „დინამო“ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდხანს შემორჩა ევროფრონტს — წინა სეზონში უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციას ასეთი მწვრთნელისთვის B ლიცენზია მაინც არ ემეტება...

## თბილისის დინამოს ყოფილმა მწვრთნელმა ფედერაციას ლიცენზიის გარდა მორალი, ეთიკა და კოლეგიალობაც მოჰკითხა

— უეფამ 1998 წელს შექმნა ჯირას კონვენცია, რომელიც ერთიან სისტემაში აქცევს მწვრთნელთა განათლებას და ამ კონვენციის წევრი ჩვენც ვართ. ჯირას კონვენციის ერთ-ერთი მიზანია, მწვრთნელებს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოსვლა და მუშაობა გაუადვილოს. მე ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვე, კურსების გაუვლელად მოეცა B ლიცენზია, რათა მერე უცხოეთში წავსულიყავი სამუშაოდ და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

...შემიძლია წარმოგიდგინოთ უეფას ტექნიკური დეპარტამენტის მენეჯერის, ფრანკ რუდოლფის ფაქსი, რომელშიც წერია, რომ ეროვნულ ფედერაციებს უფლება აქვთ, კომპეტენციის აღიარებით, კურსების გაუვლელად გასცენ მწვრთნელზე B ლიცენზია. უეფა ეროვნული ფედერაციის საქმეში ვერ ჩაერევა, თუმც რუდოლფი ამ ფაქსში აღნიშნავს, რომ გეგუჩაძეს გრძელვადიანი და წარმატებული სამწვრთნელო კარიერა აქვს. ამ ფაქსის ასლი უეფამ გაუგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მწვრთნელთა განათლების ხელმძღვანელ გაიოზ დარსაძეს. მოკლედ, ფედერაცია და დარსაძე საქმის კურსში არიან, მაგრამ ჩემს კომპეტენციას არ აღიარებენ და B ლიცენზიას არ მაძლევენ.

— ფედერაციას B ლიცენზიის აღების თხოვნით ოფიციალურად მიმართეთ?

— ოფიციალურად არა, მაგრამ ჩემი თხოვნის შესახებ დარსაძემ და ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა იციან. აქ საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან — ფედერაციას შეუძლია, კომპეტენციის აღიარებით მომცეს B ლიცენზია, მაგრამ ამას ჯიუტად არ აკეთებს.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს ფედერაციის თქვენდამი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი?

— მე ასეთი დასკვნა გამომაქვს: ახალკაცს და დარსაძეს სურთ, რომ ყველა მათზე იყოს დამოკიდებული, ერთი-ორი მწვრთნელის გარდა საქართველოში მწვრთნელი არ იყოს.

— როცა ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო, თქვენ გქონდათ იმის შანსი, რომ საქართველოში მწვრთნელთა განათლების ხელმძღვანელი გამხდარიყავით, ანუ ის თანამდებობა გქონოდათ, რაც ახლა დარსაძეს აქვს...

— ასე იყო, მაგრამ პედაგოგობას მწვრთნელობა ვამჯობინე. ისე, B ლიცენზიის პირველ კურსებზე მე და დარსაძე ვკითხულობდით ლექციებს. სხვათა შორის, საამისო დიპლომი უეფამ მომცა, ახლა კი ჩვენი ფედერაცია B ლიცენზიას არ მაძლევს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ მორალის და ეთიკის საკითხია. ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია მალავს, თუ რა უფლებებით სარგებლობენ მწვრთნელები. ჩემი აზრით, არ შეიძლება, რომ ღვაწლმოსილი და დამწყები მწვრთნელები ერთად გადიოდნენ B ლიცენზიის კურსებს. ფედერაცია არც რევაზ ძოძუაშვილის კომპეტენციას აღიარებს და როცა ძოძუაშვილმა B ლიცენზიის აღების თხოვნით მიმართა დარსაძეს, ფედერაციაში მუშტი-კრივიც კი გაიმართა. ახალკაცმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, გეგუჩაძემ კეთილი ინებოს და B ლიცენზიის კურსები გაიაროსო, მაგრამ რატომ არ მაძლევს ფედერაცია ლიცენზიას ჩემს კომპეტენციაზე დაყრდნობით, ამაზე ვერაფერს ამბობს. ახალკაცის ასეთი არაკოლეგიალური პოზიცია ჩემთვის ხელის შეშლაა და მეტი არაფერი — მქონდა შემოთავაზებები უცხოეთიდან, მაგრამ B ლიცენზიის არქონის გამო ვერ წავედი.

— ახლა რას აპირებთ?

— სხვა ქვეყანაში უნდა ავიღო B ლიცენზია და ამაში იოჰან ბოსკამპიც მეხმარება.

— საქართველოში B ლიცენზიის აღების იმედი აღარ გაქვთ?

— თუ ჩემს ამ განაცხადებებს შედეგი არ ექნება, სხვა ზომებს მივმართავ. ისე, საქართველოში B ლიცენზია 70 მწვრთნელმა მიიღო და მათი უმეტესობა დაუსაქმებელია მაშინ, როცა ერთ-ერთი მწვრთნელი სამ გუნდში მუშაობს...

**დავით თავართქილაძე**



უკრაინელები ლაშა ჯაკობიას (მარჯვნივ) მომავალ კლუბზე ვერაფერს ამბობენ

# ლაშა ჯაკობიამ მეტალისტი დატოვა?

**საქართველოს** ნაკრების თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია ალბათ „მეტალისტს“ დატოვებს — ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ უკრაინულმა ვებგვერდებმა. ხარკოველთა ქართველი კაპიტანი ახლა შვებულებაშია და 23-28 დეკემბერს სპორტის სასახლეში „ბენდელას თასზე“ აპირებს თამაშს, უკრაინელი ჟურნალისტების თქმით კი, ლაშა უკვე ეძებს ახალ გუნდს. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, საიდან გავრცელდა ეს ხმები, ის კი ფაქტია, რომ თავად „მეტალისტი“ ამგვარ ცნობას არ ადასტურებს — ჯაკობია არსად წასულაო, ირწმუნება კლუბის პრესსამსახური.

**ბახა ზალამბერიძე**

# ამერის ტრანს-ფერები

კონსტანტინე დარსანიას და ნიკა ნადირაძის შემდეგ თბილისის „ამერი“ კიდევ სამ ფეხბურთელს ელევა — მეკარე გიორგი ნიკურაძე და ნახევარმცველი გივი ჩხეტიანი უკვე ახალ გუნდებს ეძებენ, ალბათ მათ გზას დაადგება ნახევარმცველი მირზა ბჟალავაც.

ნიკურაძის ასავალ-დასავალზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, ჩხეტიან-ბჟალავას თაობაზე კი ასეთი ინფორმაცია მოვიპოვეთ: გივიმ შესაძლოა საქართველოშივე, ანაც უცხოეთში გააგრძელოს კარიერა, მირზა კი „ზესტაფონში“ გადასვლას ეშურება.

შეგახსენებთ, რომ „ამერმა“ მანამდე სამი ფეხბურთელი შეიმატა ბოლნისის „სიონიდან“ — დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე და თენგიზ ჩიკვილაძე, რომელთაც უკვე მუდმივი ნომრებიც ჩამოურიგა: ბოლქვაძე 17-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, დოლიძეს 22 ერგო, ხოლო ჩიკვილაძეს — 13.

„ამერში“ მოემზადება კიდევ ერთი ფეხბურთელი, „სპარტაკის“ თავდამსხმელი ვასილ ლუჭაშვილიც. მისი საკითხი საბოლოოდ თებერვალში ანტალიის შეკრების შემდეგ გადაწყდება.

**ბახა ზალამბერიძე**

# 17-წლამდელები პორტუგალიაში



ლევან მელიქია

**იანვრის** მიწურულს პორტუგალიაში გაიმართება კომერციული ტურნირი, სადაც 1989 წელს დაბადებულთა 6 ნაკრები ითამაშებს და მათ შორის ქართველებიც იქნებიან. ფაქტობრივად, ეს არის 17-წლამდელთა ნაკრები, რომლის თავკაცი ლევან მელიქიაა, თუმცა, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, პორტუგალიაში ალბათ გაიოზ დარსაძეც ჩავა.

შეგახსენებთ, ქართველი 17-წლამდელები გაისად ოქტომბერში ევრო-2007-ის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპს შინ ჩაატარებენ, მეტოქეებად კი გერმანელი, რუსი და მაკედონიელი თანატოლები ეყოლებათ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქეცბაიამ მუჯირი გადაწყვიტა

**ამირან მუჯირის** კვიპროსულ „ანართოსისში“ გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა. 30 წლის ქართველმა ნახევარმცველმა თემურ ქეცბაიას გუნდთან წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და შედეგად, კვიპროსის ჩემპიონთა რიგებში უკვე ოთხი ქართველი შეიკრიბა: თემურ ქეცბაია, ამირან მუჯირი, გიორგი გაბიდაური და კობა წიტაიშვილი.

## ბორჯომი

# ჯერ დაგაზული, მერე გაზგასული

## ბორჯომს სკამის დაგრძელება უნდა

**ბორჯომის** „თორი" ხომ გახსოვთ?! ეს გუნდი რამდენჯერმე მივიდა უმაღლესი ლიგის ზღვართან, მაგრამ თითქოს დათარსული იყო, ვერაფრით აღიოდა ზედა ეშელონში.

შარშანდელ სეზონში კი, აწ უკვე „ბორჯომმა", პირველ ლიგაში მხოლოდ „ამერს" ვერ მოუხერხა ვერაფერი, თორემ დანარჩენ თანალიგელებს მუსრი გაავლო და არხეინად მოეწყო უმაღლესში.

ბარაქიანი სატრანსფერო ზაფხული ჰქონდათ კურორტელებს — სოსო ფრუიძის გუნდში ბევრი ვეტერანი ირიცხებოდა, მაგრამ ოთხი-ხუთი ფეხბურთელის გარდა ყველას ბარგის ჩალაგებამ მოუწია და შევსებაც ისეთი მოხდა, თქვენი მოწონებული: „ბორჯომი" „თბილისის" წამყვან მოთამაშეებს მიადგა, ერთი ხელის მოსმით თორნიკე აფციაური, რევაზ გეწაძე, მიხეილ მესხი, შოთა ჯიქია, ბესიკ მიქიაშვილი გადაიყვანა, სხვა ფერიანი ტრანსფერებიც გაახერხა და ერთხანს ვიფიქრეთ, ბორჯომელებს მხოლოდ „დინამო" თუ მოერევაო...

ბუნებრივია, ასეთი შენაძენი ციდან არ ჩამოვარდნილა: „ბორჯომს" რაიონის გამგებელი დავით გელაშვილი პატრონობს და სოსო ფრუიძე მას ძალიან ემადლიერება, ფეხბურთი უყვარს და შეძლებისდაგვარად არაფერს გვაკლებსო.

და მაინც, ფრუიძე ილუზიებს არ აჰყოლია: „რომ გითხრათ, უსიკვდილოდ ჩემპიონობას ვგეგმავთ-თქო, არ ვიქნები მართალი. გუნდი შესათამაშებელია, ამიტომაც პირველ ტურებში გაგვიჭირდება და შესაძლოა, ქულებიც საკმაოდ დავკარგოთ. კონკრეტული მიზანი ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდება".

„ბორჯომმა" ბათუმში წაგებით დაიწყო სეზონი, მაგრამ მერე შვიდმატჩიანი მოგებების სერია გამოაცხო და მათ შორის თბილისის „დინამოც" წააქცია „ეროვნულზე" გიორგი ქორიძისა და რევაზ გეწაძის ულამაზესი გოლებით.

სოსო ფრუიძემ კი ამ მატჩის შემდეგ უცნაური რამ თქვა — რაც უნდა მოხდეს, „დინამო" მაინც ჩემპიონი გახდებაო. ეს ბორჯომელთა თავკაცის ფანდი იყო თუ რეალობას ამბობდა, ვერ გეტყვით, მაგრამ შემდგომ ტურებში კურორტელთა თამაშს რომ ბზარი შეეპარა, ფაქტია — „ბორჯომმა" ლიდერთა ჯგუფში მყოფ ყველა გუნდთან წააგო, განსაკუთრებით კი „ვიტ ჯორჯიასთან" დაიჩაგრა (0:4). მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ფრუიძის ბიჭებს მძიმე კალენდარი ჰქონდათ ბოლო ექვს-შვიდ ტურში

ქართლელთა ლიდერებზე თუ ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ვეტერანი იური გაბისკირია უნდა ვთქვათ. ამ კაცს საბჭოურ ჩემპიონატშიც კი უთამაშია, ჰოდა, გამოცდილება თავისთავად და, ჯან-სისწრაფეც ისეთი მოსდევს, ბარე ორ ახალგაზრდას თვალს დაუყენებს. არ დაგვითვლია, რამდენი გოლი გავიდა გაბისკირიას მოხდენილი პასებით, მაგრამ აშკარად ბევრი კი იყო.

„ბორჯომის" მთავარმეგოლედ თავიდანვე გიორგი ქორიძე იქცა — კვიპროსიდან ჩამოსულმა ფორვარდმა პირველად „თბილისთან" დაიქუხა, როცა პოკერი შეასრულა, მერე კი ცოტა ჩრდილში მოექცა და ერთი-ორ თამაშში სათადარიგოთა სკამიც მოსინჯა, მაგრამ ბოლო ტურებში ისევ გაიხსენა ხელობა.

და ექსთბილისელები? რევაზ გეწაძე უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო ფლანგელია საქართველოს ჩემპიონატში და, როდესაც ის არ თამაშობდა, მაშინ უფრო დაეტყო „ბორჯომს", თუ რა ძალა იყო გუნდისთვის.

ერთიცაა, კურორტელებს არცთუ გრძელი სკამი ჰქონდათ, 13-14 ფეხბურთელით გადაიტანა პირველი წრე და რა მოხდება ზამთრის შესვენებაზე? „ბორჯომი" უკვე დატოვეს პაატა გვირჯიშვილმა და რევაზ ჯიქიამ; ითქვა, „თბილისში" დაბრუნდება ბესიკ მიქიაშვილი და შესაძლოა, მას მიხეილ მესხი და თორნიკე აფციაურიც მიჰყვნენო. „ბორჯომი" ალბათ უარზე დადგება და ესეც არ იყოს, „თბილისის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმაც გვითხრა, მსგავსი საკითხი ჯერ არ განიხილებაო.

კურორტელები 8 იანვარს თბილისში დაიწყებენ ვარჯიშს, მერე კი ზღვისპირეთში წავლენ შეკრებაზე. სოსო ფრუიძეს საზღვარგარეთულ შეკრებაზეც დავეკითხეთ, მაგრამ ნაკლებმოსალოდნელიაო, გვიპასუხა. როგორც ჩანს, „ბორჯომისგან" მაინცდამაინც დიდ სატრანსფერო ფაციფუცს არ უნდა ველოდოთ, არადა, სკამის პრობლემაზე წელან უკვე ვთქვით.

...„ბორჯომმა" საპირველწრეო საშინაო მატჩების უმეტესობა თბილისში, „ოლიმპზე" გამართა, საკუთარი მინდორი კი ნოემბერში შემოესწრო. ბორჯომის ცალტრიბუნიან სტადიონზე ხელოვნურსაფარიანი გაზონი დაიგო, სადაც ორი მატჩი ჩატარდა და ფრუიძის ბიჭებმა ორჯერვე მოგებით დაასრულეს.

ხელოვნური საფარი გეგმის ერთი ნაწილია. ნახეთ, კოხტა კურორტქალაქში როგორი სტადიონი წამოვჭიმოთო, ამბობენ ბორჯომელები. ჰოდა, ჩვენც ეგ არ გაგვიხარდება?!

**ილია ნანობაშვილი**




მცველი სანდრო ბურნაძე (№3) „ბორჯომს" 4 გოლით შეეწია




ბორჯომელი ზურაბ მამალაძე „ლოკომოტივთან" ისე დაშავდა, რომ შესაცვლელი შეიქნა

**პირველი ტური**
30 ივლისი, შაბათი
ბათუმი 1:0 ბორჯომი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
ბორჯომი 1:0 კოლხეთი

**მესამე ტური**
19 აგვისტო, პარასკევი
სოხუმი 1:3 ბორჯომი

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
ბორჯომი 2:1 კახეთი

**მეხუთე ტური**
11 სექტემბერი, კვირა
თბილისი 0:5 ბორჯომი

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
ბორჯომი 1:0 ზესტაფონი

**მეშვიდე ტური**
24 სექტემბერი, შაბათი
დინამო 1:2 ბორჯომი

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
ბორჯომი 4:0 ცხინვალი

**მეცხრე ტური**
16 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 4:0 ბორჯომი

**მეათე ტური**
22 ოქტომბერი, შაბათი
ამერი 1:0 ბორჯომი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ბორჯომი 5:0 სპარტაკი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
სიონი 1:0 ბორჯომი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ბორჯომი 1:0 ტორპედო

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
ლოკომოტივი 2:1 ბორჯომი

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
ბორჯომი 4:3 დილა






გიორგი ქორიძე

მეგოლეები
8 — გიორგი ქორიძე
4 — სანდრო ბურნაძე
იური გაბისკირია
რევაზ გეწაძე
თორნიკე აფციაური
3 — შოთა ჯიქია
1 — გიორგი ნასყიდაშვილი
სილაგაძე (სოხუმი) — ს.კ.

**ბორჯომი პირველ წრეში**
15 თამაში, 10 მოგება, 0 ფრე, 5 წაგება, ბურთები 29:15, 30 ქულა



ყველაფერი ასე დაიწყო...



სოხუმელთა მეკარე ავთანდილ ლაბაძეს პირველ წრეში საქმე არ აკლდა

## სოხუმი

# უმაღლესისთვის უმი: სოხუმი

## იმედით დაწყებული და შიმშილით დამთავრებული

**მეჩვიდმეტე** ეროვნულ ჩემპიონატს უმაღლესი ლიგა მატებით შეხვდა — გუნდების რაოდენობა ათიდან თექვსმეტამდე გაიზარდა. ლიგის რეორგანიზაციაზე გავლენა ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებმა მოახდინა. ნოდარ ახალკაცმა „პატრიოტული“ უწოდა მოტივს, რომლის საფუძველზეც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მიიღეს „ცხინვალმა“ და სოხუმის „დინამომ“.

თუ „ცხინვალი“ რამდენიმე წლის განმავლობაში პირველი ლიგის ერთ-ერთ სტაბილურ გუნდად ყალიბდებოდა, სოხუმელები სულაც რეგიონალლიგიდან ჩაირიცხნენ ქართულ საფეხბურთო ელიტაში. ძმებ ზაზა და გოჩა ჟორჟოლიანებს იმედი ჰქონდათ, რომ გუნდს მეოხად აფხაზეთიდან დევნილი ბიზნესმენები დაუდგებოდნენ და ამის იმედად იყო, სოხუმის „დინამოს“ სახელით გამოსვლაზე საკმაოდ გამოცდილმა ფეხბურთელებმა რომ განაცხადეს თანხმობა.

გოჩა ჟორჟოლიანს თითქმის ყველა რგოლში ჰყავდა რამდენიმე მოთამაშე, რომელთაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება ჰქონდათ, რამდენიმეს კი უცხოეთში გატარებული წლებიც უმაგრებდა ზურგს. მამუკა წერეთელი, ზვიად ჯელაძე, თემურ გადელია, მამუკა რუსია, თენგიზ უგრეხელიძე, ვალერი გაგუა — დაგვეთანხმებით, არ არის პატარა ძალა.

ბედის ირონიით, პირველსავე ტურში სოხუმის „დინამო“ და „ცხინვალი“ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. „დევნილთა დერბად“ მონათლულ დაპირისპირებაში გამარჯვება სამაჩაბლოელებს დარჩათ. ამას მოჰყვა „ვიტ ჯორჯიასთან“ მოპოვებული პირველი ქულა და, რაც მთავარია, საკმაოდ კარგი თამაში. ბევრი სპეციალისტი ვარაუდობდა, რომ მინიმალური ხელშეწყობის პირობებში გუნდი შეძლებდა გათამაშების ცხრილის „ოქროს შუალედში“ ადგილის დამკვიდრებას.

ტურს ტური მიჰყვა, სეზონის წინ ნაოცნებარი დახმარება ვერსაიდან ჩანდა. სოხუმელებმა მარცხს მარცხი მიაყოლეს, მათ შორის რამდენჯერმე დიდი ანგარიშითაც წააგეს. რაც მთავარია, უკვე თავად ფეხბურთელებს აღარ ეტყობოდათ ბრძოლის ის ჟინი, რომლის ხარჯზეც სეზონის სტარტზე რამდენიმე იმედისმომცემი შეხვედრა გამართეს.

მთელი პირველი წრის განმავლობაში, ყოველ ინტერვიუში თუ კომენტარში, გოჩა ჟორჟოლიანი უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაზე ლაპარაკობდა და ეს ბუნებრივიც იყო: შიშველ ენთუზიაზმზე მოთამაშე ფეხბურთელებისგან სერიოზული შედეგის მოთხოვნა ძნელია.

პირველი წრის ბოლოს „სოხუმის“ აქტივში ათი ქულა იყო, რაც გათამაშების ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი. თეორიულად, სოხუმელებს თავისუფლად შეუძლიათ, დადებითად გადაჭრან ლიგაში ადგილის შენარჩუნების საკითხი, თუმცა ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს არცთუ იოლი იქნება — რამდენიმე სოხუმელს მეზობელი აზერბაიჯანიდან გამოუჩნდა მსურველი კლუბი. „სოხუმის“ ხელმძღვანელობა უძლურია, ხელი შეუშალოს მიგრაციას, პირიქით, ყოველმხრივ დახმარებას უწევს ფეხბურთელებს გზის გაკვალვაში იმის იმედად, რომ განხორციელებული ტრანსფერებით მინიმალურ დონეზე მაინც შეძლონ გუნდის დაფინანსება.

დღეს უკვე ფეხბურთის ფედერაციის და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობაც ღიად აფიქსირებს, რომ ლიგის გაფართოების იდეამ არ გაამართლა. დღის წესრიგში უკუპროცესის დაწყება დადგა. რამდენად ხელეწიფება სოხუმის „დინამოს“ უმძიმესი კონკურენციის პირობებში საამსეზონო ამოცანის გადაჭრა? დღეს ამის თქმა ძნელია. ისიც უცნობია, თუ რა კონტინგენტით შეხვდება გუნდი მეორე წრეს...

**გიორგი ნოზაძე**

**პირველი ტური**
30 ივლისი, შაბათი
სოხუმი 0:2 ცხინვალი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
ვიტ ჯორჯია 2:2 სოხუმი

**მესამე ტური**
19 აგვისტო, პარასკევი
სოხუმი 1:3 ბორჯომი

**მეოთხე ტური**
27 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი 0:1 სოხუმი

**მეხუთე ტური**
9 სექტემბერი, პარასკევი
სოხუმი 1:2 სიონი

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
ტორპედო 4:2 სოხუმი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
სოხუმი 0:1 ლოკომოტივი

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
დილა 5:0 სოხუმი

**მეცხრე ტური**
14 ოქტომბერი, პარასკევი
სოხუმი 2:1 ბათუმი

**მეათე ტური**
22 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი 4:0 სოხუმი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
სოხუმი 0:3 ამერი

**მეთორმეტე ტური**
6 ნოემბერი, კვირა
სოხუმი 2:0 კახეთი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
თბილისი 4:3 სოხუმი

**მეთოთხმეტე ტური**
20 ნოემბერი, კვირა
სოხუმი 0:1 ზესტაფონი

**მეთხუთმეტე ტური**
27 ნოემბერი, კვირა
დინამო 4:0 სოხუმი






მამუკა რუსია

მეგოლეები
4 — მამუკა რუსია
3 — გიგა გადელია
2 — შოთა ჩომახიძე
1 — გოჩა მამფორია
მამუკა წერეთელი
გიორგი ხაჩიძე
გიგა ჟვანია
ელიზბარაშვილი (სპარტაკი) — აკ

**სოხუმი**
**პირველ წრეში**
15 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 11 წაგება, ბურთები 14:36, 10 ქულა

# ბუფონს აბიატი გერმანიაში მიჰყავს



ჯანლუიჯი ბუფონი ჩვეულ ფორმას მალე დაიბრუნებს და „იუვენტუსიდან“ არ წავა

*იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ქომაგთათვის ახლა ერთ-ერთი მთავარი კითხვაა, როდის ჩადგება მწყობრში ჯანლუიჯი ბუფონი. მსოფლიოს ნომერ პირველ მეკარედ აღიარებული ბუფონი ხანგრძლივი ტრავმებით არასდროს გამოირჩეოდა და საერთოდ ძალიან იშვიათად უხდებოდა ექიმებთან ურთიერთობა, თუმც წლეულს, სეზონის დაწყების წინ მილანელ კაკასთან შეჯახებამ ყველაფერი შეცვალა — მან მხარი დაიზიანა და რამდენიმე თვე გაუცდა, დაახლოებით ორი კვირის წინ დაბრუნება სცადა, მაგრამ ხელახლა დაშავდა. ცხადია, ეს თავად ბუფონსაც ანერვიულებს*

„2005 **წელი** ჩემთვის ძალიან უიღბლო გამოდგა. იმედია, ახალ 2006 წელს ყველაფერი ძველებურად და კარგად იქნება, თუმც მინდა, ვთქვა, რომ ჩემი არყოფნა კლუბს ფაქტობრივად, არ დატყობია და ეს კრისტიან აბიატის დამსახურებაა, რომელმაც ბრწყინვალედ შემცვალა. მხარი მოვირჩინე და დასაბრუნებლად მზად ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი ტრავმა მივიღე“ — აღნიშნა ბუფონმა.

როდესაც ფეხბურთელის ტრავმები ერთმანეთს გადაებმება, ეს ცუდის ნიშანია და უკვე იმაზეც საუბრობენ, შესაძლოა, ჯიჯი ბუფონს კიდევ ერთი ამდენი დრო ძველი ფორმის აღსადგენად დასჭირდესო. თავად მეკარე ოპტიმისტურად არის განწყობილი და სჯერა, რომ მინდორს მალე დაუბრუნდება, სკუდეტოსაც მოიგებს და მუნდიალზე ნაკრების პირველ ნომრად წავა, თანაც აბიატისთან ერთად.

ჯანლუიჯი ბუფონი: „იმედი მაქვს, აბიატი ტურინში დარჩება და 2006 წლის მუნდიალზე ერთად წავალთ. „იუვენტუსი“ კი ბრწყინვალედ თამაშობს. დებიუტშივე თუ ასეთ უპირატესობას მოვიპოვებდით, ალბათ, არავის ეგონა, თუმც წინ დიდი გზაა და მოდუნება არ შეიძლება. სკუდეტოსთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად „ინტერს“ მივიჩნევ“.

ჟურნალისტებმა ბუფონს ცოტა ხნის წინ გავრცელებული ჭორიც შეახსენეს, მისი „რეალში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. „ბებერი ქალბატონის“ კარის დარაჯმა ეს ტრანსფერი კიდევ ერთხელ გამორიცხა: „ჩემი მომავალი „იუვენტუსს“ უკავშირდება და წასვლის არანაირი მიზეზი არ მაქვს. თანაც არა მგონია, ამ მდგომარეობაში ვინმეს ჩემი ყიდვა უნდოდეს. ახლა მხოლოდ მინდორზე დაბრუნება მინდა“.

„იუვენტუსის“ თემა ადრიან მუტუთი განვაგრძოთ, რომელმაც კიდევ ერთხელ გადაუხადა კლუბს მადლობა მძიმე წუთებში დახმარებისთვის. შეგახსენებთ, რომ ნარკოტიკების ხმარებაში მხილებული მუტუ „ჩელსიმ“ გარიცხა, ხოლო უეფამ შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ტურინელებმა კი იგი შეიკედლეს და დღესდღეობით ბოლომდე განკურნებული რუმინელი მშვენიერ ფორმაშია.

ადრიან მუტუ: „აქ ძალიან ბედნიერი ვარ. ტურინი ბრწყინვალე ქალაქია, ხოლო „იუვენტუსი“ ჩინებული გუნდი. აქ სულ გამარჯვებაზე ფიქრობენ და ფეხბურთით ცხოვრობენ, თანაც თავს დაცულად გრძნობ. ვერასოდეს დავივიწყებ მათ დახმარებას. მე მთელ მსოფლიოს და პირველ რიგში, საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ მტკიცე ხასიათი მაქვს. შეცდომების აღიარება და მათი გამოსწორება შემიძლია“.

მიუხედავად იმისა, რომ მუტუ მართლაც კარგ ფორმაშია, „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში მას ადგილი გარანტირებული არ აქვს და რამდენიმე მსურველიც ჰყავს. მათ შორისაა ფლორენციის „ფიორენტინაც“, რომელსაც რუმინელის ყოფილი დამრიგებელი ჩეზარე პრანდელი წვრთნის, თუმცა „პარმას“ ექსფორვარდს „დელე ალპის“ დატოვება არ უნდა.

„ფაბიო კაპელო ისე მექცევა და იმდენ რამეს მასწავლის, რომ იმაზე საუბარი არც ღირს, ჩემთვის უჩვეულო მარჯვენა ფლანგზე რომ მიწევს თამაში. პრანდელის ინტერესი ჩემდამი და მისი წარმატება ძალიან მახარებს, მაგრამ „იუვეში“ არანაკლებ ბედნიერი ვარ“ — დასძინა მუტუმ.

ბოლოს კიდევ ერთი ფეხბურთელი ვახსენოთ, რომელიც „იუვენტუსს“ დაუკავშირეს. იგი ამსტერდამის „აიაქსის“ ჩეხი მცველი ზდენეკ გრიგერაა. 25 წლის ფეხბურთელი ტურინში გადასვლასთან 2003 წელსაც ძალიან ახლოს იყო, თუმც მას ევროკავშირის პასპორტი მაშინ არ ჰქონდა, ხოლო „იუვეს“ დატოვება კიდევ ერთმა არაევროკავშირელმა მარსელო სალასმა იუარა და ტრანსფერიც ამის გამო ჩაიშალა, გრიგერაც „სპარტადან“ „აიაქსში“ გადავიდა. ახლა კი „ბებერი ქალბატონი“ ჩეხს ისევ მიუბრუნდა და მალე შეიძლება ჰოლანდიურ კლუბთან მოლაპარაკებაც დაიწყოს. როგორც ამბობენ, გრიგერას ტრანსფერი სულ ცოტა 4-5 მილიონი გირვანქა დაჯდება.

**ძოძი ძანძღლაძი**

# გაქცევა სტამბოლიდან

**აილტონი** სტამბოლის „ბეშიქთაშს“ გაეყარა — ბრაზილიელი ფორვარდი ახლა სამშობლოშია და ისვენებს. 32 წლის მეგოლე გასულ კვირადღეს მალულად აპირებდა თურქეთიდან გაპარვას, მაგრამ მენეჯერმა მეჰმეთ ექსიმ აეროპორტში „გაბაწრა“. „დაპატიმრებული“ ბრაზილიელიც კლუბის ოფისში მიიყვანეს. აილტონმა უარი თქვა, „ბეშიქთაშში“ დარჩენაზე და ექსიმს კონტრაქტის გაწყვეტა სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო.

32 წლის ფორვარდს მას შემდეგ აერია საქმე, რაც გუნდის მწვრთნელი ჟან ტიგანა გახდა. ტიგანა და ფეხბურთელი მუდმივად კამათობდნენ, აილტონც ძირითად შემადგენლობაში ამად ვერ ხვდებოდა. უეფას თასზე „გიმარაეშთან“, ხოლო ჩემპიონატში „ტრაბზონსპორთან“, მწვრთნელმა მეგოლე სათადარიგოებში დატოვა, რამაც ფეხბურთელს სტამბოლიდან გაპარვა გადააწყვეტინა.

მოგეხსენებათ, აილტონი ბრემენის „ვერდერიდან“ „შალკეში“ 2004 წელს გადავიდა და გელზენკირხენში მხოლოდ ერთი სეზონი დარჩა. გასულ ზაფხულს „ხუმარებმა“ იგი „ბეშიქთაშს“ დაუთმეს, მაგრამ ბრაზილიელმა იქაც ვერ გაიხარა და სამშობლოში დაბრუნდა.

**გაჟა ხუციშვილი**




**ინგლისური** „ლივერპული“ ალბათ „მილანთან“ ერთად იბრძოლებს ჯონათან ძებინას შესაძენად. იტალიაში გავრცელებული ჭორების თანახმად, მერსისაიდელთა თავკაც რაფაელ ბენიტესს „იუვენტუსის“ მცველის ხელში ჩაგდება სურს. ძებინასთან განშორებაზე ალბათ არც თავად ტურინელები იტყვიან უარს, რადგანაც ისინი რამდენიმე ახალი მოთამაშის დამატებას აპირებენ.

**ესპანური** პრესა გვამცნობს, რომ მადრიდის „რეალის“ ფორვარდი რონალდო დედაქალაქში თავს კარგად არ გრძნობს და სეზონის ბოლოს კლუბის გამოცვლა უნდა. თანაც პასიური თამაშის გამო მას უკვე თანაგუნდელებიც აკრიტიკებენ. ჭორებს თუ ვენდობით, დიდი შანსია, რონალდო „ინტერში“ დაბრუნდეს.

**იტალიურმა** „უდინეზემ“ მედიას ბლოკადა გამოუცხადა. საერთოდ, უდინელთა საქმე ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ ყველა ფრონტზე უკან წავიდა და კლუბში დაძაბული ვითარებაა. ხელმძღვანელობის თქმით, ისინი ჟურნალისტებზე არაობიექტურობის გამო განაწყენდნენ.

**ინგლისური** „არსენალი“ ფრანგული „ლე მანის“ გოლკიპერს იოან პელეს უტრიალებს. 23 წლის მეკარე ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესოა საფრანგეთის ჩემპიონატში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პირველ დივიზიონში წლეულს დაბრუნებულ „ლე მანს“ 19 მატჩში მხოლოდ 16 გოლი აქვს გაშვებული.

**სლოვაკეთის** წლის საუკეთესო მოთამაშე ზედიზედ მეორედ გერმანული „ნიურნბერგის“ ფორვარდი მარეკ მინტალი გახდა, რომელმაც 232 ქულა დააგროვა და 17-ით გაუსწრო „ზენიტის“ მეკარე კამილ ჩონტოფალსკის. მესამე ადგილზე კი „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველი მიროსლავ კარჰანი გავიდა 274 ქულით.

**იტალიური** „ინტერი“ ამსტერდამის „აიაქსის“ მცველ მაქსველის შემატებასთან ძალიან ახლოსაა. გავრცელებული ცნობით, მილანელები უკვე შეუთანხმდნენ 24 წლის ფეხბურთელსა და მის კლუბს. წესით ტრანსფერი ზაფხულში უნდა შედგეს, თუმც მაქსველზე ხელის ჩაქნევას არც „იუვენტუსი“ აპირებს.

**სერბი** მცველის, ნემანია ვიდიჩის მსურველთა შესახებ საგა კვლავ გრძელდება. 24 წლის ფეხბურთელის შეძენასთან ყველაზე ახლოს ისევ „მანჩესტერ იუნაიტედია“. ინგლისელები მზად არიან, იგი ფლორენციის „ფიორენტინას“ ცხვირწინ ააცალონ. მოსკოვის „სპარტაკს“ კი დიდი ხანია, თავისი სიტყვა ნათქვამი აქვს — 10 მილიონი გირვანქა.

**ბელგიური** „მუსკრონის“ თავკაცი მოსკოვის „ლოკომოტივში“ წასული სლავოლიუბ მუსლინის ნაცვლად ცნობილი სპეციალისტი ემე ანტუენესი გახდა. 62 წლის მწვრთნელი ბელგიის ნაკრებს ოფიციალურად წლის ბოლოს დატოვებს და ახალ პოსტს 1 იანვარს ჩაიბარებს.

**ჰოლანდიური** „ნაიმეგენი“ მოულოდნელად დატოვა კეეს ლოკმა. 39 წლის მწვრთნელის წასვლამ ყველა გააკვირვა. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. მართალია, „ნაიმეგენმა“ გასულ უქმეებზე „გრონინგენთან“ 0:3 წააგო, მაგრამ კლუბი მთლიანობაში საკმაოდ კარგად გამოიყურება და ამჟამად მეხუთე ადგილზეა.

**ინგლისური** პრესა გვამცნობს, რომ ნიგერიული წარმოშობის პოლონელი ფორვარდი ემანუელ ოლისადებე ახალი წლიდან „პორტსმუთში“ ითამაშებს. ლონდონურ კლუბს ბერძნულ „პანათინაიკოსთან“ ყველაფერი შეუთანხმებია და ახლა თავად ფეხბურთელთან გამართავს მოლაპარაკებას პირადი კონტრაქტის თაობაზე. 26 წლის ოლისადებე ინგლისში უახლოეს დღეებში ჩავა.

**იტალიური** „ლეჩეს“ ფინელი ფორვარდი ალექსეი ერიომენკო უმცროსით ერთბაშად რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული. გარდა ამისა, წარმოშობით უკრაინელ მოთამაშეს „პარმა“ და „კალიარიც“ უტრიალებენ, თუმც ფეხბურთელის მამამ აღნიშნა, რომ მისი შვილი ალბათ შოტლანდიურ „სელტიკში“ ან ლონდონის „ჩარლტონში“ გადავა.

**ესპანურ** პრესას თუ ვენდობით, რუსულმა „სპარტაკმა“ მაინც მიაღწია თავისას და ბასკურ „სოსიედადს“ ნიჰათ კაჰვეჩის ტრანსფერზე შეუთანხმდა. ახლა კი თავად ფეხბურთელთან აწარმოებს პირად კონტრაქტზე მოლაპარაკებას. ამბობენ, ბასკური კლუბი თურქის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს მიიღებსო.

**არგენტინული** ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა რიო დე ჟანეიროში ჩაფრინდა. იგი ბრაზილიელი ზიკოს მიერ ორგანიზებულ „ვარსკვლავების მატჩში“ ითამაშებს. ამ საქველმოქმედო შეხვედრაში მონაწილეობას ასევე მიიღებენ სეზარ სამპაიო, ბებეტო, ედმუნდო, კარლოს ალბერტო და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰაჯი, შენ ხარ ქაჯი
## დიდ რუმინელს ციხე მიუსაჯეს



AFP

**ლეგენდარულ** გეორგე ჰაჯის თურქეთის სასამართლომ ძველი ცოდვები გაუხსენა — 2001 წელს მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენეო და 17-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ჰაჯი მაშინ „გალათასარაის“ ფეხბურთელი იყო და, როგორც თურქები ამტკიცებენ, „გენჩლერთან“ შეხვედრის დროს მატჩის არბიტრისთვის სახეში გაურტყამს, შემდეგ კი ბარაქიანადაც შეუფურთხებია.

ოსმალო მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, გვინდოდა, რუმინელი კიდევ უფრო მკაცრად დაგვესაჯა, მაგრამ „გალათასარაიში“ მისი ბრწყინვალე თამაში გავითვალისწინეთ და მხოლოდ 17-თვიანი ციხე და 1770 ევროს გადახდა ვაკმარეთო.

გეორგე ჰაჯი დღეს რუმინული „ტიმოშოარას“ მწვრთნელია.

**ლადო ხომერიკი**



ალბერტ ლუკემ „ნიუკასლის“ მწვრთნელ გრემ სუნესს იმედი გაუცრუა

# გავყიდით ლუკეს, ვიყიდით პეტროვს

**ალბერტ ლუკე** კატალონიურ „ბარსელონას“ ისევ აინტერესებს. შეგახსენებთ, რომ „დეპორტივოს“ ყოფილი ფორვარდის ყიდვას „ბარსას“ თავკაცები გასულ ზაფხულსაც ფიქრობდნენ, თუმც მერე საქმეები სხვანაირად წარიმართა და ლუკეს ხელში ჩაგდების პატივი არა კატალონიურ გრანდს, არამედ ინგლისურ „ნიუკასლს“ ერგო.

ესპანელმა ფორვარდმა ნისლიან ალბიონზე თავი ხშირი ტრავმების გამო ვერ გამოიჩინა და, როგორც გუშინდელმა „დეილი მირორმა“ გვამცნო, „კაჭკაჭები“ მზად არიან, თავიანთ მოიერიშეს სოლიდური თანხის საფასურად შეელიონ.

ალბერტ ლუკეს კიდევ ერთი მსურველი ჰყავს — „ბარსელონას“ მოსისხლე მადრიდის „რეალი“, მაგრამ ამ უკანასკნელს სამწვრთნელო ცვლილებების გამო ვითარება ოდნავ აერია და უპირატესობაც ფრანკ რაიკარდის გუნდს ენიჭება. მითუმეტეს, რომ თავად ლუკესაც კარიერის გაგრძელება „კამპ ნოუზე“ სურს.

„ფრანკ რაიკარდს ესპანურ პრიმერაში და ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად ერთი-ორი ფეხბურთელის შემატება კიდევ სჭირდება, ხოლო „ნიუკასლს“ „სელტიკიდან“ სტილიან პეტროვის გადმოყვანა უნდა და ლუკეს გაყიდვით საჭირო თანხას აგროვებს“ — ვკითხულობთ „დეილი მირორში“.

„ბარსა“-„ნიუკასლს“ შორის მოლაპარაკების ფინანსური მხარე უცნობია, „კაჭკაჭებმა“ კი თავის დროზე ალბერტ ლუკე „დეპორტივოსგან“ 14 მილიონ ევროდ შეიძინეს.

**ლადო ხომერიკი**

# დი ვაიომ მონაკო ჩაიფიქრა

**მარკო დი ვაიო** „ვალენსიადან“ მალე აიბარგებაო. როგორც ფრანგული მედია გვამცნობს, „ლამურების“ იტალიელი თავდამსხმელი ევებ იანვარშივე აღმოჩნდეს „მონაკოში“. მარკო დი ვაიო „ვალენსიას“ ამჟამინდელი მწვრთნელის, კიკე სანჩეს ფლორესის გეგმებში აღარ შედის, ამიტომაც ფრანგებთან მისი აგენტების მოლაპარაკება სავარაუდოდ, ჩიხში არ მოექცევა.

„მგონი, „ვალენსიას“ მხრიდან კლუბის დატოვებასთან დაკავშირებით დაბრკოლებები არ შემხვდება. ბოლო დროს ჩემ იტალიაში დაბრუნებაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, თუმც კარიერის „მონაკოში“ გაგრძელებაზეც არ ვიტყოდი უარს — განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალ „ეკიპს“.

მერე დი ვაიომ ისიც აღნიშნა, რომ მისთვის სულ ერთია, „მონაკოში“ იჯარით წავა, თუ რამდენიმეწლიანი კონტრაქტით. ყველაზე დიდი სირთულე, რაც დი ვაიოს „გაფრანგებას“ ხელს შეუშლის, ანაზღაურებაა — იტალიელი „ვალენსიაში“ ხელფასის სახით თვეში 200 ათას ევროს იღებს, რისი გადახდაც „მონაკოს“ თავკაცებს ვინძლო გაუჭირდეთ.

**ლადო ხომერიკი**



მარკო დი ვაიომ მეუღლესთან ერთად შესაძლოა, მონაკოში იცხოვროს

# მახინჯების და ქათმების ამბავი

**პამპლონის** „ოსასუნას“ ნახევარმცველმა პაჩი პუნიალმა თქვა, დევიდ ბექემი და ხოსე მარია გუტი უთავო ქათმები არიანო. საქმე „რეალ“ — „ოსასუნას“ ამასწინანდელ ჯახს ეხება, როცა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სტუმარ-მასპინძლებს მოედანზე ჩხუბი მოუვიდათ. პუნიალის განცხადებით, ბექემმა და გუტიმ მეტოქე რაულ გარსიას თურმე სულ „მახინჯი“ უძახეს.

„რა გაეწყობა, ვიყოთ მახინჯები, თუმც მე თუ მკითხავთ, რაულ გარსიასნაირი „მახინჯი“ სჯობს ზოგიერთ უთავო „გალაქტიკოსს“, მოედანზე ქათამივით რომ დაახტება“ — განუცხადა „მარკას“ პაჩი პუნიალმა.

„რეალის“ და „ოსასუნას“ შერკინება კვირას მადრიდში გაიმართა. თამაში 1:1 დასრულდა და გატანილი გოლების რაოდენობისგან განსხვავებით, ჩხუბი და თავ-პირის მტვრევა საკმაოდ მრავლად იყო. თავად პუნიალი მსაჯმა რობერტო კარლოსისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო გააძევა.

„რეალელები გამომწვევად იქცეოდნენ. ასეა, როცა გუნდი მოგების მისაღწევად არაფერს ერიდება. დიდი კლუბის მოთამაშეები ზრდილობას უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ“ — დასძინა ბოლოს პაჩიმ.



AFP

დევიდ ბექემს და მის თანაგუნდელებს ზრდილობა დაუწუნეს

**ლადო ხომერიკი**

# მოედნიდან კაბინეტში
## კარიერა ჰაინრიხმაც დაასრულა

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა იორგ ჰაინრიხმა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. 36 წლის მცველმა კარიერა რეგიონალლიგის ბერლინის „უნიონში“ დაასრულა და კლუბის დირექტორი გახდა.

ბერლინელთა განცხადებით, ეს ამბავი მწვრთნელ გეორგი ვასილიევსა და იორგ ჰაინრიხს შორის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა.

„გუნდი საკმაოდ ძლიერია და უჩემოდაც შეძლებს საამსეზონო მიზნის მიღწევას“ — თქვა ჰაინრიხმა, რომელსაც ბუნდესნაკრებში 37-ჯერ უთამაშია.

„ასეთი გამოცდილების პატრონი დირექტორად უფრო გამოგვადგება, ვიდრე მოედანზე“ — აღნიშნა კლუბის პრეზიდენტმა დირკ ცინგლერმა.

„უნიონის“ ახალი დირექტორი, 1994-1996 წლებში „ფრაიბურგში“ თამაშობდა. შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა და იქ სამი სეზონი გაატარა — დორტმუნდიდან ფლორენციის „ფიორენტინაში“ გადაბარგდა, მაგრამ 2000-ში ისევ „ბორუსიას“, კვლავ სამი წლით დაუბრუნდა. შემდეგ ერთი სეზონი (2003-2004) „კიოლნში“ გააგორა ბურთი და ბოლოს ბერლინში აღმოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# კისლინგი ბაიერმა დაიბევა

**ლევერკუზენის** „ბაიერმა“ თითქმის მოაგვარა შტეფან კისლინგის ტრანსფერი, რომელიც „ნიურნბერგში“ თამაშობს და 21-წლამდელთა ბუნდესნაკრების თავდამსხმელია.

გერმანული მედიის ცნობით, ფორვარდმა პირადი კონტრაქტი უკვე შეათანხმა „ბაიერთან“ და ახლა ორ კლუბს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს.

კისლინგმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ამ სეზონში დაიბევა, მას შემდეგ, რაც სლოვაკი მთავარმეგოლე მარეკ მონტალი დაშავდა. თან, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებში მაისურა მოირგო.

„დარწმუნებული ვარ, მოვრიგდებით“ — განაცხადა „ნიურნბერგის“ დირექტორმა მარტინ ბადერმა, რომელმაც დაადასტურა „ბაიერთან“ კისლინგის პირად კონტრაქტზე შეთანხმების ფაქტი.

მარტინ ბადერი ფეხბურთელის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს ითხოვს, თუმცა ამ ტრანსფერში შეიძლება, ლევერკუზენელი იაცეკ კრჟ-

ინოვეკიც „ჩაჯდეს“. პოლონელი კრჟინოვეკი ორი წლის წინ „ნიურნბერგიდან“ გადავიდა „ბაიერში“, მაგრამ ახალ მწვრთნელ მიხაელ სკიბეს ხელში ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა.

ამასობაში, „აფთიაქართა“ მეორე მეკარე რენე ადლერმა, რომელსაც გასულ ზაფხულს პრემიერლიგელი კლუბები უთვალთვალებდნენ, კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. „რენე თავის ასაკში ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში“ — თქვა „ბაიერის“ დირექტორმა რუდი ფიოლერმა. ადლერი, ისევე, როგორც კისლინგი, გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია.

**ვაჟა ხუციშვილი**



თამაშის წინ რონალდინიოს, ლეო მესის და სამუელ ეტოოს „კამპ ნოუმ“ ქედი მოუხარა

AFP ბარსელონიდან

## პორტუგალია

**სუპერლიგა**
**XVI ტური**

**სპორტინგი 3:0 რიუ ავე**

1:0 ლიდსონი (32), 2:0 ტონელი (43), 3:0 ლიდსონი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 10 | 4 | 1 | 26:10 | 34 |
| ნასიონალი | 15 | 9 | 3 | 3 | 17:7 | 30 |
| სპორტინგი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:16 | 30 |
| ბრაგა | 15 | 9 | 2 | 4 | 15:7 | 29 |
| სეტუბალი | 15 | 9 | 2 | 4 | 12:4 | 29 |
| ბენფიკა | 15 | 8 | 4 | 3 | 22:12 | 28 |
| ბოავიშტა | 15 | 5 | 8 | 2 | 21:14 | 23 |
| ფერეირა | 15 | 6 | 3 | 6 | 17:19 | 21 |
| რიუ ავე | 16 | 5 | 5 | 6 | 20:24 | 20 |
| მარიტიმუ | 15 | 4 | 6 | 5 | 16:17 | 18 |
| ლეირია | 15 | 5 | 3 | 7 | 18:20 | 18 |
| აკადემიკა | 15 | 5 | 3 | 7 | 14:20 | 18 |
| ბელენენსეში | 15 | 5 | 2 | 8 | 16:17 | 17 |
| ამადორა | 15 | 4 | 4 | 7 | 11:15 | 16 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 4 | 2 | 9 | 11:18 | 14 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 2 | 9 | 9:21 | 14 |
| ნავალი | 15 | 3 | 2 | 10 | 13:25 | 11 |
| პენაფიელი | 15 | 1 | 4 | 10 | 11:26 | 7 |

## შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

**დანდი იუნ. 2:1 დანფერმლაინი**

1:0 ჯ. სამუელი (25), 1:1 უილსონი (31), 2:1 რობსონი (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 14 | 3 | 2 | 48:17 | 45 |
| ჰართსი | 19 | 12 | 5 | 2 | 34:13 | 41 |
| ჰიბერნიანი | 19 | 12 | 1 | 6 | 34:23 | 37 |
| რეინჯერსი | 19 | 8 | 6 | 5 | 30:22 | 30 |
| კილმარნოკი | 19 | 8 | 5 | 6 | 35:30 | 29 |
| ინვერნესი | 19 | 5 | 9 | 5 | 21:21 | 24 |
| აბერდინი | 19 | 5 | 8 | 6 | 21:22 | 23 |
| მოზერუელი | 19 | 6 | 5 | 8 | 31:36 | 23 |
| დანდი იუნ. | 19 | 5 | 6 | 8 | 21:29 | 21 |
| ფოლკირკი | 19 | 4 | 5 | 10 | 20:35 | 17 |
| ლივინგსტონი | 19 | 2 | 6 | 11 | 10:35 | 12 |
| დანფერმლაინი | 19 | 2 | 3 | 14 | 11:33 | 9 |

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

**ბირმინგემი 1:3 მანჩესტერი**

0:1 საა (46), 0:2 პარკი (50), 0:3 საა (63), 1:3 იაროშიკი (75)

**უიგანი 2:0 ბოლტონი**

1:0, 2:0 რობერტსი (40, 45)

# კომენტარი ზედმეტია

## პირველი წრის ჩემპიონი ღირსეულია

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი**
**XVII ტური**

**ბარსელონა 2:0 სელტა**

1:0, 2:0 ეტოო (38, 57)

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი (ბელეტი 88), სილვინიო, ედმილსონი, ინიესტა (მოტა 82), მესი (ჟიული 66), დეკო, რონალდინიო, ეტოო

**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი

**სელტა:** ესტებანი, ლეკი, ანხელი, პლასენტე, სერხიო, ოუბინია, ნუნიესი (ხავი გერერო 65), სილვა, კანობიო (ხორხე 80), ირინეი, ფ. ბაიანო

**მწვრთნელი:** ფერნანდო ვასკესი

**გაფრთხილება:** ლეკი, სილვინიო, ოუბინია, ანხელი

**მსაჯი:** პერეს ლასა

70 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 17 | 12 | 4 | 1 | 43:14 | 40 |
| ოსასუნა | 16 | 11 | 2 | 3 | 23:15 | 35 |
| რეალი | 16 | 9 | 2 | 5 | 28:17 | 29 |
| ვილიარეალი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:16 | 29 |
| დეპორტივო | 16 | 8 | 5 | 3 | 23:14 | 29 |
| ვალენსია | 16 | 8 | 5 | 3 | 23:17 | 29 |
| სევილია | 16 | 7 | 5 | 4 | 17:12 | 26 |
| სელტა | 17 | 8 | 2 | 7 | 18:21 | 26 |
| ხეტაფე | 16 | 6 | 3 | 7 | 22:23 | 21 |
| ატლეტიკო | 16 | 4 | 7 | 5 | 17:17 | 19 |
| სარაგოსა | 16 | 3 | 9 | 4 | 17:20 | 18 |
| სოსიედადი | 16 | 5 | 3 | 8 | 24:34 | 18 |
| მალაგა | 16 | 4 | 4 | 8 | 22:23 | 16 |
| რასინგი | 16 | 3 | 7 | 6 | 12:19 | 16 |
| მალიორკა | 16 | 4 | 4 | 8 | 16:25 | 16 |
| ბილბაო | 16 | 3 | 6 | 7 | 16:20 | 15 |
| ესპანიოლი | 16 | 3 | 6 | 7 | 13:20 | 15 |
| კადისი | 16 | 3 | 5 | 8 | 11:19 | 14 |
| ალავესი | 16 | 2 | 6 | 8 | 14:24 | 12 |
| ბეტისი | 16 | 2 | 6 | 8 | 10:24 | 12 |

**ესპანურ** კლუბთაგან თუ რომელიმე ხვდება შობას მშვენიერ ხასიათზე, ცხადია, პირველი „ბარსელონაა“. ამ წლის ბოლო მატჩში კატალონიელები ვიგოს „სელტას“ გაუსწორდნენ და მიჯრით მეცამეტე თამაში მოიგეს ყველა რანგის ტურნირში.

თანაც, „ბარსელონას“ თამაში, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში, ისეთივე შთამბეჭდავი იყო, როგორც ამ სეზონის უმეტეს შეხვედრებში. როგორც ყოველთვის ბრწყინავდნენ რონალდინიო და სამუელ ეტოო.

„კამპ ნოუზე“ მისული ხალხი სწრაფ გოლს ელოდა. იგივე რონალდინიო და ეტოო, მათთან ერთად კი ლეო მესი არანორმალური სისწრაფით დაჰქროდნენ, თუმცა გოლი იგვიანებდა, მაგრამ ადრე თუ გვიან რომ გავიდოდა, უეჭველი იყო.

ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რომ „სელტა“ თამაშს კონტრიერიშებზე ააგებდა და ასეც მოხდა. ოღონდ ისიცაა, რომ ერთ ხანს ვიგოელთა შეტევებს მეტნაკლები ხიფათიც არ მოუტანია. თუმცა მოგვიანებით, 32-ე წუთზე სტუმართა დაყინებამ შედეგი კინაღამ გამოიღო — ფერნანდო ბაიანომ ბურთი ძელს გაარტყა.

თითქმის მაშინვე ბაიანოს მეორე არანაკლები შანსი მიეცა — მოსატყუებელი მხოლოდ მეკარეღა დარჩა, მაგრამ ვიქტორ ვალდესმა დიდებულად ითამაშა და მეტოქეს გატანა არ დაანება.

ამ ორმა სახიფათო მომენტმა „ბარსა“ მეტი მონდომებისთვის აიძულა და პირველი გოლიც მალევე გავიდა — რონალდინიომ სწრაფად გათამაშებული ჯარიმით გაიყვანა დასარტყმელად ეტოო და კამერუნელმაც, ცხადია, თავი არ შეირცხვინა.

შესვენების მერე, რამდენიმე წუთის განმავლობაში, ორივე გუნდი თითქოს ცოტათი მოშვებული ჩანდა. ხოლო როგორც კი გალისიელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მასპინძლებისგან მყისვე მეორე გოლით დაისაჯნენ: მოედნის ცენტრში გათამაშებული ლამაზი კომბინაციის მერე ბურთი ანდრეს ინიესტამ მიიღო და ეტოო მონახა, ვინაც 17 მატჩში მეჩვიდმეტე გოლი გაიტანა. აღნიშვნა ზედმეტიც უნდა იყოს — სამუელ ეტოო პრიმერას საუკეთესო ბომბარდირია.

„სელტას“ სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად — რაც გარდაუვალ წაგებას მოასწავებდა — გუნდი ბოლომდე არ მოეშვა და რაც შეეძლო, იბრძოლა.

როლებიც შეიცვალა — დარჩენილ დროში უკვე „ბარსელონა“ აგებდა თავის თამაშს კონტრიერიშებზე, მეტ ყურადღებას კი თავდაცვას უთმობდა.

თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ფრანკ რაიკარდმა ერთი ასეთი შეცვლაც განახორციელა: რაფაელ მარკესი ჟულიანო ბელეტით შეცვალა. ამ ცვლილებას თამაშზე კვალი არ დაუტყვია, თუმცა აღნიშვნის ღირსი კი არის — ბელეტიმ „ბარსელონას“ მაისურით მეასე მატჩში მიიღო მონაწილეობა.

სულ ბოლოს კი, რა თქმა უნდა, სავსე „კამპ ნოუ“ ფეხზე წამოდგა და პირველი წრის ჩემპიონი ტაშით გააცილა.

**ქოტე ქექელია**




AFP ბარსელონიდან

როგორც ყოველთვის, ბარსელონელი რონალდინიოს შეჩერება ახლაც ძნელი იყო

# მსაჯის ბრალია



ფრაიბურგი — მიუნხენი. ბრძოლა იყო შესაშური

## გერმანია

**თასის მერვედფინალი**

**არმინია 2:0 უნტერჰახინგი**

1:0 ბორგესი (7), 2:0 დალოვიჩი (26)

**ფრაიბურგი 1:3დ.დ.(1:1) მიუნხენი**

1:0 სანუ (77), 1:1 შაო (90), 1:2 აგოსტინო (96), 1:3 რ. მეიერი (105)

**კაიზერსლაუტერნი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) მაინცი**

1:0 ენგელარდტი (29), 1:1 და სილვა (62)

**ბუნდესლიგის** ბოლოადგილოსანი „კაიზერსლაუტერნი“ თასიდან გავარდა და ისღა დარჩენია, მეორე წრეში უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლოს.

მარკო ენგელარდტმა პირველ ტაიმში კოხტა თავურით გახსნა ანგარიში, მაგრამ სტუმარმა ანტონიო და სილვამ არანაკლებ ლამაზი გოლით შესვენების შემდეგ გაათანაბრა — საჯარიმო დარტყმით ბურთი ცხრიანში შეჭედა.

დამატებითი დროის 97-ე წუთზე მასპინძლებს ერვინ შკელა გაუძევს, თუმც „მაინცმა“ ამით ვერ ისარგებლა.

პენალტების სერია „ლაუტერნმა“ კარგად დაიწყო, ბლანკმა და ჰერჩმა გაიტანეს, მაინცელთაგან კი ბაბაცმა და დემირტასმა — უხეიროდ დაარტყეს. ამას შემდეგ დამხვდურები „აიჭრნენ“: ზანდიმ ბურთი ხარიხას გაარტყა, რომელიც ხაზის შიგნით დაეცა, მაგრამ მსაჯმა ვერ დაინახა და არ ჩათვალა. და სილვამ სხვაობა შეამცირა, ხოლო ჰალილ ალტინტოპმა ააცილა. მაინცელმა გერბერმა სერიაში ანგარიში გაათანაბრა 2:2, ენგელარდტმა „ლაუტერნი“ კვლავ დააწინაურა, ხოლო მოჰამედ ზიდანმა 3:3 გახადა. მასპინძელთაგან მეხუთე პენალტის შესრულება ჰალფარმა იკისრა, მაგრამ ვერ გაიტანა, ხოლო სტუმართა ფორვარდმა პეტერ რუმანმა ზუსტად დაჰკრა და „მაინცი“ მეოთხედფინალში გაიყვანა.

ნამატჩევს განმეორებაზე გამოჩნდა, რომ ზანდის დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხაზს შიგნით ჩაეშვა. „კაიზერსლაუტერნი“ შედეგის გაპროტესტებას აპირებს, მაგრამ საეჭვოა, რომ რამე შეიცვალოს.

„ფრაიბურგს“ წამები აშორებდა მეოთხედფინალამდე, რადგან 90-ე წუთისთვის სანუს გოლით „მიუნხენ 1860“-ს უგებდა. მიუნხენელი „ლომები“ არ დანებდნენ და შაოს წყალობით გაათანაბრეს. დამატებით დროში სტუმრებმა იძალეს — ჯერ პოლ აგოსტინომ შეაგდო მეორე გოლი, მერე კი რალფ მეიერმაც იხეირა და „ლომები“ შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

ბილეფილდის „არმინიამ“ ორის გატანა მანამდე მოასწრო, სანამ „უნტერხაჰინგს“ აიგუნს გაუძევებდნენ. ბორგესმა ანგარიში მალევე გახსნა, დალოვიჩმა კი მეორე მიაყოლა. პირველი ტაიმის დასრულებამდე სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ, რადგან აიგუნი უხეშობისთვის გააგდეს. ათკაცა „უნტერჰახინგმაც“ ველარაფერი მოახერხა და თასის გათამაშებას დაემშვიდობა.

**გაჟა ხუციშვილი**

# რონალდინიომ იცის ლამპარდი და ანრი კატალონიაში იცხოვრებენ





**ბარსელონელმა** სუპერვარსკვლავმა რონალდინიომ სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა, რომ დაზუსტებით იცის — ფრენკ ლამპარდი და ტიერი ანრი „კატალონიის სიამაყეში“ გადადიან. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრაზილიელმა თქვა: „ბარსელონაში ყველა ტიერისა და ფრენკის ჩამოსვლაზე ლაპარაკობს და მეც ეს ამბავი სულაც არ მწყინს“.

კაცმა რომ თქვას, ის, რომ ანრი სეზონის ბოლოს „ბარსაში“ წავა, თუმც ოფიციალურად არავის გაუცხადებია, კულუარულად ერთი ხნის წინ გახმაურდა და სენსაციური ნამდვილად არ არის. რაც შეეხება ლამპარდს, მისი ამბავი მთლად ბოლო დღეებისაა და ამდენად სენსაციურიცაა, თუმცა არც ამის შესახებ თქმულა სადმე ოფიციალურად.

საინტერესოა, რომ ორშაბათს ფიფას გალაზე, სადაც რონალდინიოს მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო გადასცეს, მეორე პრიზით ლამპარდი დაჯილდოვდა და, ბუნებრივია, ფეხბურთელებს ერთმანეთთან საუბრის საშუალება მიეცათ. რონალდინიოს ინგლისელისთვის უთქვამს, შენ აუცილებლად უნდა გადმოხვიდე ჩვენთან „ბარსელონაშიო“, რაზეც კატალონიელი ელენ რივესის მეუღლეს მიუგია, რომ მას ბარსელონა ძალიან უყვარს.

„რამდენჯერმე ვარ მეუღლის სამშობლოში ნამყოფი და იქაურობა შემიყვარდა“ — ბრძანა ლამპარდმა.

გარდა ამისა, ყოვლისშემძლე ინგლისელი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ლამპარდი გაფაციცებული სწავლობს ესპანურს და ბარსელონაში აგარაკს ეძებს.

„ტიერი ანრი ჯადოსნური ფეხბურთელია, მას სრულყოფილი ტექნიკა აქვს. მისი თამაშის ნახვა ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს და პატივს ვცემ, როგორც ფეხბურთელს და როგორც ადამიანს. და კიდევ, რაც მთავარია, მას უყვარს ფეხბურთი, რითაც ჩემს თავ მაგონებს. ლამპარდის შეძენაც ფანტასტიკური იქნება“ — დასძინა ბოლოს რონალდინიომ.

**პაპუნა ძედია**

# არსენალმა ზოკორა შეიგულა

**ფრანგული** „სენტ ეტიენის“ ნახევარმცველ დიდიე ზოკორას შეძენით ევროპული გრანდები — „არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“ და მადრიდის „რეალი“ დაინტერესდნენ. ზოკორა 24 წლისაა და თავის კლუბთან კონტრაქტში არსებული მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია, „სენტ ეტიენი“ 2006 წლის ზაფხულში დატოვოს.

„შემოთავაზებები მრავლად მივიღეთ, თუმც „არსენალის“ ვარიანტი სხვებზე მეტად სარწმუნო და სარფიანია. სავარაუდოდ, დიდიე ზაფხულში სწორედ „ჰაიბერიზე“ გადავა“ — განუცხადა **BBC SPORT**-ს ფეხბურთელის აგენტმა ფრანკ ბელჰასენმა.

„მეთოფეები“ კოტდივუარელი ფეხბურთელის გადაყვანას თურმე იანვარშივე აპირებდნენ, მაგრამ დიდიე ზოკორამ იმ თვეში აფრიკის ეროვნებათა თასზე საკუთარი ქვეყნის ნაკრებში უნდა ითამაშოს და ტრანსფერი ამიტომაც გადაიდო რამდენიმე თვით.

„ჩელსის“ შემადგენლობა შევსებული აქვს, ამიტომაც მათი წარმომადგენლები ნაკლებად აქტიურობენ. ასეთსავე ვითარებაში არიან მადრიდის „რეალიც“ და „მანჩესტერიც“, ხოლო „არსენალმა“ „სენტ ეტიენს“ უკვე 15 მილიონი ევრო შესთავაზა“ — დასძენს ფრანკ ბელჰასენი.

მისივე თქმით, დიდიე ზოკორა ბრწყინვალე ფეხბურთელია და ინგლისურ პრემიერლიგასთან შეჩვევას მალე მოახერხებს.

**ლადო ხომერიკი**



*წელიწადი მიიწურა და საყოველთაო დაჯილდოებათა დროც დადგა. აჯილდოვებენ ყველას, მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებს, გულშემატკივართა, მწვრთნელთა, ჟურნალისტთა რჩეულებს, მსაჯებს და ასე განსაჯეთ ჟურნალისტებსაც.*

*ინგლისში 2005 წლის საუკეთესო ჟურნალისტის წოდება **NEWS OF THE WORLD**-ის მიმომხილველს, მარტინ სემუელს ერგო, ჩვენ კი გადავწყვიტეთ „სარბიელის“ მკითხველისთვის მისი წერისა და აზროვნების ყაიდა გაგვეცნო და გამარჯვებულის ბოლო სტატია ვთარგმნეთ. სტატიას სათაურად ჰქვია:*

# აი, რატომ ვლოცულობ, ბარსელონამ ჩელსი რომ შეურაცხყოს

**ყველაზე** კარგი, რაც გაისად ფეხბურთში შეიძლება მოხდეს, ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასგან“ „ჩელსის“ გემრიელი გამათრახება იქნება. და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს თავად „ჩელსისთვის“ იქნება კარგი. თუ წააგებს, „ჩელსი“ იძულებული შეიქნება განვითარდეს. თუ წააგებს, ის იძულებული გახდება, მიზნად თანამედროვე ფეხბურთის ახალ და მშვენიერ სიმაღლეებზე ასვლა დაისახოს, მონახოს რაიმე განსხვავებული იმ უსულგულო სტაბილურობისაგან, დღეს რომ ახასიათებს. წააგოს და ჟოზე მაურინიუს საქმეთა გადახალისება მოუწევს, დასჭირდება გახდეს „ბარსელონას“ მაგვარი — ევროპულ ფეხბურთში ყველაზე შემოქმედებითი და ფანტაზიით აღსავსე გუნდი.

სტემფორდბრიჯელი ბიჭებისთვის „ბარსელონასთან“ გამარჯვება უთუოდ მნიშვნელოვანი საქმე იქნება და იმავდროულად, ყველა ინგლისელს პატრიოტულ თავმოყვარეობას დაუკმაყოფილებს. რა თქმა უნდა, თუ მაისში „სტად დე ფრანსზე“ ჩემპიონთა თასს პრემიერლიგის გუნდი აღმართავს, ჩვენთვის დიდად საამაყო იქნება, მაგრამ თუ შემდეგ ეტაპზე ლონდონელები კი არა, ბარსელონელები გავლენ, თუ ისინი „ჩელსის“ იმავე დღეში ჩააგდებენ, ამასწინათ „რეალი“ რომ ჩააგდეს, მაშინ ფეხბურთს ნამდვილი გამარჯვებული ეყოლება. ყოველთვის უძლიერესმა უნდა გაიმარჯვოს, დღევანდელ ევროპაში კი ასეთი გუნდი ერთადერთია — „ბარსელონა“.

### რესურსები

დიახ, რა თქმა უნდა, „ჩელსი“ დასაფასებელია. დიახ, მას ჰყავს ისეთი პიროვნებები, ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდი რომ არიან. იმავდროულად მას ჰყავს ისეთი ილუზიონისტები, როგორებიც გახლავან ჯო კოული და არიენ რობენი. როგორც გუნდი, „ჩელსი“ სწორუპოვარია, დიდებული დაცვითა და უხინჯო პროფესიონალიზმით, რაც ძალიან კარგია, მაგრამ შეიძლებოდა გაცილებით უკეთესი ყოფილიყო.

არ არსებობს მწვრთნელი, იმდენი რესურსი რომ ჰქონდეს, რამდენიც მაურინიუს აქვს და, არ არსებობს სხვა კლუბი, „ჩელსის“ დარი პოტენციალით.

კი, ბატონო, დადის ჭორები, რომ ლონდონელებს რონალდინიოს, ანდრეი შევჩენკოსა და ტიერი ანრის „სტემფორდ ბრიჯზე“ გადაყვანის გეგმა აქვთ, მაგრამ სანამ ისინი მოვლენ, უკვე მოსულები უფრო მუშა პოზიციებს ამაგრებენ. მაგალითად, მიკაელ ესიენს აქვს შანსი მომავალი პატრიკ ვიეირა გახდეს, მაგრამ ის რონალდინიოსავით ვერასოდეს მოაჯადოვებს სტადიონს. კლოდ მაკელელეს გაყიდვა მადრიდის „რეალის“ ყველაზე დიდი შეცდომა იყო, მაგრამ მაკელელე რას გახდებოდა, გვერდში ალქიმიკოსები, რონალდო და ზინედინ ზიდანი რომ არ ჰყოლოდა.

და „ჩელსის“ შეეძლო ყოფილიყო, როგორიც დღეს „ბარსელონაა“. მას შეეძლო ყოფილიყო ისეთი, როგორიც „რეალი“ იქნებოდა, მის პრეზიდენტს სწორი სატრანსფერო პოლიტიკა რომ ეწარმოებინა. მაურინიუს შეეძლო თავის დაცვაზე დიადი გუნდი აეგო. „ჩელსის“ ქომაგებს ჰგონიათ, რომ მათ გუნდს ყველაფერი აქვს, მაგრამ გარწმუნებთ, ჩემი კრიტიკა ამ გუნდის მიმართ შურით კი არა, იდეალიზმითაა განპირობებული. ხალხი, ვისაც ფეხბურთი უყვარს, სილამაზით ტკბება, რომან აბრამოვიჩზე კი მრჩება შთაბეჭდილება, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმისთვის არ იბრძვის, ნაკლებით კმაყოფილდება.

### გენიოსი

მაგალითისთვის დიდიე დროგბაც მოვიყვანოთ. ის მეტისმეტად ძლიერი, არაეგოისტი ფორვარდია, რომლის შეძენაც ყველას სურს. მაგრამ, განა „ჩელსი“ ყველაა? მას მეცხრე ნომრად გენიოსი უნდა ჰყავდეს, ახალი პელე ან დიეგო მარადონა. მას უნდა ჰყავდეს თავისი რონალდინიო ან უეინ რუნი, რომელიც ჯადოქართა კვალზე სიარულს ცდილობს. და სანამ ასე არ იქნება, ნეიტრალურები ჯადოქრებთან ყოველთვის დამარცხდებიან. და არ შეგეშალოთ, რონალდინიოს რომ ვახსენებ, ვგულისხმობ ფეხბურთელს, რომელსაც იმდენჯერ შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონობა, რამდენჯერაც პელე გახდა. გოლი, რომელიც მან გასულ სეზონში „ჩელსის“ გაუტანა, 50 წლის განმავლობაში სალაპარაკო თემა იქნება.

ამიტომ, ჩვენ უნდა ვილოცნებოთ იმ „ჩელსიზე“, რომელიც აბრამოვიჩის შესაძლებლობებით, ინგლისურ ფეხბურთს შესაძლებლობების მაქსიმუმთან მიიყვანს. ხოლო კატალონიელები დღეს აშკარად ლაპარობენ ფრენკ ლამპარდის შეძენაზე, რომელსაც კატალონიელი ცოლი ჰყავს და უცხოეთში თამაშის ამბიცია აქვს. რატომ აკეთებენ ამას? მხოლოდ ერთი მიზეზით: ფეხბურთის, ლამაზი ფეხბურთის გამო.



მარტინ სემუელი: გოლი, რომელიც რონალდინიომ გასულ სეზონში „ჩელსის“ გაუტანა, 50 წლის განმავლობაში სალაპარაკო თემა იქნება

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:45 | 1 | ჩარლტონი-არსენალი | 5.20 | 3.40 | 1.65 | 2.05 | 1.25 | 1.11 |
| 17:00 | 2 | ჩელსი-ფულემი | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 17:00 | 3 | ჩელსი-ფულემი 0:1 | 1.50 | 4.70 | 4.00 | | | |
| 17:00 | 4 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 17:00 | 5 | ტოტენჰემი-ბირმინგემი 0:1 | 2.20 | 3.40 | 2.50 | | | |
| 19:00 | 6 | უიგანი-სიტი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 7 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.20 | 5.30 | 15.00 | 1.00 | 1.11 | 3.91 |
| 19:00 | 8 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 1.50 | 4.70 | 4.00 | | | |
| 19:00 | 9 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 10 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| 19:00 | 11 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 19:00 | 13 | სანდერლენდი-ბოლტონი | 3.80 | 3.30 | 1.90 | 1.76 | 1.26 | 1.20 |
| 21:15 | 14 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |

ინგლისი. ჩემპიონატი
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 16 | უოტფორდი-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 17:00 | 17 | კარდიფი-პლიმუთი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 17:00 | 18 | ბრაიტონი-ქპრ | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 17:30 | 19 | პრესტონი-უენსდი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 20 | ვულვერჰემპტონი-რედინგი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 21 | ბარნლი-სტოკი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 22 | იფსვიჩი-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 23 | ქრიუ-ჰალი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 24 | დერბი-ლუტონი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 25 | ლესტერი-მილუოლი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 26 | შეფილდი-ნორვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 19:00 | 27 | ლიდსი-ქოვენთრი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

ინგლისი. I ლიგა
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 28 | იოვილი-ბორნმუთი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 29 | როტერჰემი-ჰადერსფილდი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 17:00 | 30 | ბრენტფორდი-სუონსი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 31 | ოლდემი-ბრედფორდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 17:00 | 32 | ჯილინგემი-ბრისტოლი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 33 | სკანთორპი-ჩესტერფილდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 34 | სუინდონი-კოლჩესტერი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 19:00 | 35 | ნოტინგემი-დონკასტერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 36 | ბარნსლი-ჰარტლპული | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 19:00 | 37 | უოლსოლი-ტრანმერი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 38 | საუთენდი-დონსი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 39 | პორტ ვეილი-ბლეკპული | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |

ინგლისი. II ლიგა
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 40 | ბარნეტი-პიტერბრო | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 17:00 | 41 | კარლაილი-დარლინგტონი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 17:00 | 42 | ლეიტონი-რაშდენი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 43 | როვერსი-შრიუსბერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 44 | მაკლსფილდი-სტოკპორტი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 45 | ტორკი-უიკომბი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 19:00 | 46 | ბერი-გრიმსბი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 47 | ნორთჰემპტონი-მენსფილდი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 19:00 | 48 | ოქსფორდი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 49 | რექსემი-როჩდეილი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 50 | ლინკოლნი-ბოსტონი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 51 | ჩელტენემი-ჩესტერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |

ინგლისი. კონფერენსი
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 52 | კემბრიჯი-სტივენეიჯი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 17:00 | 53 | იორკი-სკარბორო | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 17:00 | 54 | გრეივსენდი-დაგ ენდ რედი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 19:00 | 55 | ფორესტ გრინი-ჰერეფორდი | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 19:00 | 56 | საუთპორტი-მორიკომბი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 19:00 | 57 | ჰალიფაქსი-აკრინგტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 58 | ექსეტერი-ალდერშოტი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 59 | კიდერმინსტერი-ალტრინჰემი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 19:00 | 60 | ტემუორთი-ბარტონი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:00 | 61 | უოკინგი-ქროული | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |

შოტლანდია. პრემიერლიგა
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 62 | მოზერუელი-აბერდინი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 63 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 64 | ჰართსი-ფოლკირკი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 19:00 | 66 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 67 | სელტიკი-ლივინგსტონი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 19:00 | 69 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.00 |

შოტლანდია. I დივიზიონი
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 71 | ქუინი-სტ.მირენი | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 18:00 | 72 | ბრეჩინი-კლაიდი | 5.50 | 4.00 | 1.45 | 2.31 | 1.14 | 1.06 |
| 18:00 | 73 | დანდი-ერდრი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 19:00 | 74 | სტ.ჯონსტონი-როსი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 19:00 | 75 | სტრანრარი-ჰამილტონი | 3.60 | 3.30 | 1.80 | 1.72 | 1.20 | 1.16 |

შოტლანდია. II დივიზიონი
24 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 76 | გრეტნა-ფორფარი | 1.15 | 6.50 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.93 |
| 18:00 | 77 | ალოა-პიტერჰედი | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 78 | პარტიკი-სტირლინგი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 19:00 | 79 | ეარი-დამბარტონი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 19:00 | 80 | მორტონი-რეითი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

ესპანეთი. I დივიზიონი
22 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

ესპანეთი. II დივიზიონი
22 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 148 | ეიბარი-ლორკა | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 152 | კასტელონი-უელვა | 3.70 | 2.90 | 2.00 | 1.62 | 1.29 | 1.18 |

ჰოლანდია. II დივიზიონი
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 159 | სიტარდი-კამბური | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 23:00 | 160 | დორდრეხტი-გრააფსხაპი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 23:00 | 161 | ვენლო-ემენი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 23:00 | 163 | ტელსტარი-ჰელმონდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 23:00 | 164 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 23:00 | 165 | იგლსი-ალმერე | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:00 | 166 | ექსელსიორი-ოსი | 1.35 | 4.20 | 6.80 | 1.02 | 1.12 | 2.59 |
| 23:00 | 168 | დენ ბოსხი-ზვოლე | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |

პორტუგალია. სუპერლიგა
22 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 170 | პენაფიელი-ამადორა | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 175 | ბოავიშტა-ნასიონალი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 177 | გიმარაეში-პორტუ | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |

**ჰოლანდია**
**თასი**
**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 219 | გრონინგენი-ვოლენდამი | 1.35 | 4.30 | 7.30 | 1.02 | 1.13 | 2.70 |
| 23:45 | 220 | ეინდჰოვენი-აიაქსი | 10.00 | 5.50 | 1.20 | 3.54 | 1.07 | 1.00 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**
**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 349 | ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1.50 | 4.50 | 3.50 | 1.12 | 1.04 | 1.96 |
| 20:00 | 350. | ზლინი-ვსეტინი | 1.30 | 4.60 | 5.20 | 1.01 | 1.03 | 2.44 |
| 20:30 | 351 | კლადნო-პარდუბიცე | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 20:30 | 352 | პლზენი-ტრჟინეცი | 1.80 | 4.20 | 2.65 | 1.25 | 1.07 | 1.62 |
| 20:30 | 353 | ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 1.75 | 4.30 | 2.80 | 1.24 | 1.07 | 1.69 |
| 20:30 | 354 | ზნოიმო-სპარტა | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:00 | 355 | სლავია-ლიბერეცი | 1.80 | 4.20 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.60 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**
**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 361 | ნიტრა-კოშიცე | 1.80 | 4.10 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.59 |
| 20:00 | 362 | სკალიცა-სლოვანი | 2.25 | 4.00 | 2.10 | 1.44 | 1.08 | 1.37 |
| 20:00 | 363 | პოპრადი-ჟილინა | 1.60 | 4.20 | 3.00 | 1.15 | 1.04 | 1.75 |
| 20:00 | 364 | ტრენჩინი-მიკულაში | 1.30 | 4.50 | 5.00 | 1.00 | 1.03 | 2.36 |
| 20:00 | 365 | ზვოლენი-მარტინი | 1.40 | 4.50 | 4.60 | 1.06 | 1.07 | 2.27 |

**ჰოკეი. გერმანია**
**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 373 | დუისბურგი-ფრანკფურტი | 2.40 | 4.10 | 1.90 | 1.51 | 1.06 | 1.29 |
| 22:30 | 374 | კიოლნი-მანჰაიმი | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| 22:30 | 375 | აუგსბურგი-კასელი | 1.85 | 4.20 | 2.60 | 1.28 | 1.08 | 1.60 |
| 22:30 | 376 | დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:30 | 377 | აისბარენი-ჰამბურგი | 1.65 | 4.20 | 2.90 | 1.18 | 1.05 | 1.71 |
| 22:30 | 378 | ჰანოვერი-კრეფელდი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:30 | 379 | იზერლონი-ინგოლშტადი | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |

**ჰოკეი. შვეიცარია**
**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 392 | ლუგანო-სერვეტი | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 22:45 | 393 | ციურიხი-ფრიბურგი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:45 | 394 | რაპერსვილი-ბერნი | 2.35 | 4.00 | 2.05 | 1.48 | 1.09 | 1.35 |
| 22:45 | 395 | ამბრი-ბაზელი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 22:45 | 396 | კლოტენი-ლანგნაუ | 1.60 | 4.20 | 3.10 | 1.15 | 1.05 | 1.78 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 500 | პროკომი-მაკაბი | 3.00 | 12.00 | 1.35 | 2.40 | 1.00 | 1.21 |
| 22:15 | 501 | ეფესი-მილანი | 1.20 | 12.00 | 3.65 | 1.09 | 1.00 | 2.79 |
| 22:45 | 502 | ჟალგირისი-ოლიმპია | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| 22:45 | 503 | ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 23:30 | 504 | პაუ-პარტიზანი | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 23:45 | 505 | ბამბერგი-ბენეტონი | 2.80 | 12.00 | 1.40 | 2.27 | 1.00 | 1.25 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ჩარლტონი-არსენალი | 5.40 | 2.10 | 2.00 | 1.51 | 1.45 | 1.02 |
| 10002 | ჩელსი-ფულემი | 1.35 | 2.60 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 1.89 |
| 10004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10006 | უიგანი-სიტი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.30 | 2.80 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.00 |
| 10009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.45 | 2.00 | 3.75 | 1.10 | 1.48 | 1.30 |
| 10011 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.00 | 2.10 | 6.00 | 1.02 | 1.50 | 1.55 |
| 10013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 4.60 | 2.00 | 2.20 | 1.39 | 1.48 | 1.04 |
| 10014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 2.00 | 3.70 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩარლტონი-არსენალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11002 | ჩელსი-ფულემი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | უიგანი-სიტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.40 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11011 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12002 | ჩელსი-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 12004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 12009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩელსი-ფულემი | 2.00 | 1.60 |
| 13004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 13009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-არსენალი | 2.40 | 1.40 |
| 14004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | უიგანი-სიტი | 1.80 | 1.90 |
| 14009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 2.20 |
| 14011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.30 | 2.50 |
| 14013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.30 | 1.60 |
| 14014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 2.10 |
| 14131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.55 | 2.30 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩელსი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | უიგანი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ლივერპული-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-არსენალი | 3.20 | 1.25 |
| 16004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.20 | 3.30 |
| 16006 | უიგანი-სიტი | 1.60 | 1.90 |
| 16009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.55 | 1.95 |
| 16010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.40 | 2.30 |
| 16011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.20 | 3.40 |
| 16013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.85 | 1.35 |
| 16014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.45 | 2.35 |
| 16131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.35 | 2.65 |

## გოლი: წყვილი-1, კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ჩელსი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | უიგანი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |

# გალა წარმოდგენა დასრულდა

## ბაბიაშვილს თბილისში ტუჯანიც მოჰყვება

*კარგი ინფორმაცია იმ კლუბებისთვის, ვისაც ჯიბეში ფული უჭყავის და გაძლიერება უნდა: დღე-დღეზე თბილისში ზვიად ბაბიაშვილი და ჟოლივეტ ტუჯანი ჩამოვლენ, რომლებიც იმ გუნდში ითამაშებენ, ვინც უკეთეს პირობებს შესთავაზებთ. „გალაში“ 2000 დოლარს მიხდიდნენ თვეში, საქართველოში ამდენის შესაძლებლობა ალბათ არავის არა აქვს — მითხრა ტუჯანიმ, როცა ის ინტერნეტის ვირტუალურ სამყაროში, ეგრეთ წოდებულ „ჩათში“ აღმოვაჩინე. მართლაც საეჭვოა, თუნდაც ყველაზე ჯიბესქელმა ქართულმა გუნდმა ამხელა თანხა გადაიხადოს და ტუჯანიმ ეს მშვენივრად იცის, თუმც მაინც თბილისისკენ მოუწევს გული. თუ რატომ მოდიან ბაქოდან და რას აპირებენ, ამის შესახებ უფრო კონკრეტულად ზვიად ბაბიაშვილი გვესაუბრება, რომელსაც აზერბაიჯანში ტელეფონით დავუკავშირდით...*



ზვიად ბაბიაშვილი

—„გალამ“ ხუთივე ლეგიონერი დაითხოვა — მე და ტუჯანისთან ერთად გუნდი დარიუს ლუკმინასმა, რიმას კურტინაიტისის შვილმა და ერთმა ამერიკელმა დატოვეს. ახლა ხელფასის აღებას ველით და ტუჯანისთან ერთად თბილისში მოვდივარ.

— **ევროთასზე წარუმატებლობის გამო დაგითხოვეს ლეგიონერები?**

— ძირითადად ეგ მიზეზი იყო. „ჩელენჯ ქაპზე“ ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით და შემდეგ ეტაპზე გასვლა ვერაფრით ვერ მოვახერხეთ, ახლა კი „გალას“ მხოლოდ ერთ ტურნირში, აზერბაიჯანის ჩემპიონატში უწევს თამაში და კლუბის ხელმძღვანელებმაც შედარებით დიდხელფასიანი კალათბურთელები გუნდიდან გაუშვეს.

— **წინა სეზონში „გალას“ არანაკლები შემადგენლობა ჰყავდა, მაგრამ აზერბაიჯანის ერთპიროვნული ჩემპიონი მაინც ვერ გახდა. ნუგზარ კანდელაკის „ნტდ-დევონთან“ საფინალო სერია ჩხუბის გამო ჩაიშალა.**

— ახლა სხვა ვითარებაა. კანდელაკის ყოფილი გუნდი ისეთივე სუსტია, როგორც სხვა დანარჩენები. „ნტდ-დევონმა“, რომელსაც დღეს „დასავლეთის უნივერსიტეტი“ ჰქვია, ყველა ლეგიონერი დაითხოვა და ახალგაზრდა აზერბაიჯანელებით თამაშობს. შიდაჩემპიონატში მატჩებს 120-140 ქულით ვიგებდით და „გალა“ ლეგიონერების გარეშეც იოლად გავა ფონს.

— **ეგ მართალია, მაგრამ „გალას“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება რამდენად სამართლიანია?**

— რა თქმა უნდა, არასწორად მოიქცნენ კლუბის უფროსები, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა. ხელფასი დაგვიგვიანეს და თუ მოგვცემენ, იმაზეც მადლობელი ვიქნებით. კურტინაიტისს სეზონის დაწყებამდე ჰქონდა ჩემთვის ნათქვამი, რომ თუ ევროთასზე წარმატებას ვერ მივაღწევთ, შესაძლოა, ლეგიონერები გაუშვანო. ეს ჭორის დონეზე ვიციო, მითხრა, თორემ სინამდვილეში რა მოხდებოდა, არც კურტინაიტისმა იცოდა. ამიტომაც უნდოდა მას უკრაინის ან რუსეთის ჩემპიონატში უკონკურსოდ თამაში, რაც არ გამოვიდა. კურტინაიტისი ჯერჯერობით დარჩა „გალაში“, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ისიც გაუშვან.

— **„გალაში“ დავით ბარბაქაძეც თამაშობდა...**

— ბარბაქაძე დარჩა, მას ხომ აზერბაიჯანის მოქალაქეობა აქვს და ლეგიონერად არ ითვლება. თან დავითი აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და მალე თამაშები ელის ევროპის ჯუჯასახელმწიფოების ტურნირზე.

— **ახლა რას აპირებ, საქართველოში გააგრძელებ თამაშს თუ უცხოური ვარიანტები გაქვს?**

— არაფერი არ ვიცი, თბილისში ჩამოვალ და ვნახოთ, რა გამოვა. საზღვარგარეთის ვარიანტები არ მაქვს, ირანში კი არ მინდა წასვლა. თავის დროზე ბაქოშიც იმიტომ წამოვედი, რომ თბილისთან ახლოსაა, დაახლოებით ბათუმის გზაა და შაბათ-კვირას არაერთხელ ჩამოვსულვარ ოჯახის სანახავად. ირანში რაც უნდა მომცენ, იმის ნახევარზე თბილისში თამაში მიჯობს...

— **თბილისში თუ რუსთავში? ახლა ამბიციური გუნდებიდან ყველაზე მეტად რუსთაველებს სჭირდებათ კარგი მეფარე. თან „აზოტს“ სპონსორიც გამოუჩნდა...**

— ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია. თბილისში რომ ჩამოვალ, ხომ მნახავენ და ალბათ რომელიმე გუნდში მოვეწყობი. ტუჯანიც ჩემსავითაა, მასაც არა აქვს უცხოური ვარიანტი და, ალბათ, რომელიმე ქართულ კლუბს შეუერთდება. ვნახოთ...

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბრაიანტი 62



კობი ბრაიანტი

**ის**, რაც კობი ბრაიანტმა გააკეთა, წელიწადში ერთხელ ხდება. არა, უკაცრავად, ასეთი რამ ყოველ წელიწადს ნამდვილად არ ხდება. მოქმედ კალათბურთელთაგან ერთიორი დაიტრაბახებს, ერთ თამაშში 60 და მეტი ქულა მომიხვეჭიაო: 2000 წელს შაკილ ონილმა „კლიპერსი“ 61 ქულით დატორა, 2004 წელს ტრეისი მაკგრეიდიმ „ვაშინგტონს“ 62 ჩაუდარბაისლა, შარშან კი ალენ აივერსონმა „ორლანდოსთან“ 60 მოიონაგრა.

ამ დარჩეულ ბიჭებში ლეიკერსელი კობი ბრაიანტი მეოთხეა — გუშინწინ ის „დალასს“ დაატყდა 62 ქულით.

ბრაიანტს, თურმე ნუ იტყვით და, მაკგრეიდის და მისი „ჰიუსტონის“ ბოღმა ახრჩობდა, ორი დღის წინ ამ გუნდთან ბოლო წამებზე დასანანად წააგო. ახლა გამწარებული კობი საკბილოს ეძებდა და ხელში ასევე ტეხასელი, „ჰიუსტონის“ მეზობელი „დალასი“ მოხვდა. ბრაიანტი თავიდანვე შეუდგა საქმეს და პირველი ტაიმი 53:44 მოაგებინა „ლეიკერსს“, თავად კი ამ მომენტისთვის უკვე 32 ქულა მოიხვეჭა. მესამე მეოთხედში კი მან საერთოდ გაანადგურა მისი ფრენის და სასწაულების ქვემოდან შემყურე მეტოქეები. ის დაფრინავდა, დანარჩენებს კი პირი დაეღოთ და ხელებს უილაჯოდ ასავსავებდნენ. მესამე მეოთხედში კობის თითქმის იმდენივე მოუგროვდა, რამდენიც მთლიანად პირველ ტაიმში — 30 ქულა. მანამდე არც ერთ ლეიკერსელს არ მოუხერხებია ერთ მეოთხედში ამდენის მოგროვება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ლეგენდარულ გუნდში ბევრ ლეგენდას უბურთავია. მესამე მეოთხედი რომ დამთავრდა, „ლეიკერსი“ 95:61 უგებდა „დალასს“, ხოლო კობი 62:61 უგებდა ყველა მოწინააღმდეგეს ერთად.

ბოლო 12-წუთეულში ბრაიანტს აღარც უთამაშია, უილტ ჩემბერლენის უკვდავ რეკორდს, ერთ თამაშში 100 ქულას, ნაღდად ვერ შეწვდებოდა, მის გუნდსაც თავი ქუდში და გამარჯვება ჯიბეში ჰქონდა ჰოდა, ბრაიანტიც 62 ქულით დაკმაყოფილდა და მთელი ბოლო მეოთხედი სკამზე ინებივრა.

სხვათა შორის, „დალასთან“ მის არც ერთ თანაგუნდელს არ გაუკეთებია თუნდ 10 ქულა. ასეა, კობი „ლეიკერსის“ ერთპიროვნული და გაუსაჩივრებელი ლიდერია და ფეხებში არავინ ებლანდება. ესეც, ალბათ, მალე ქულების მბეჭდავ მანქანად იქცევა და ნბა-ს პირველმექულის ნანატრ ტიტულსაც მოიხვეჭს. ამ მატჩის შემდეგ მისი საშუალო შედეგიანობა 32.5 ქულამდე ავარდა. ამ მაჩვენებლით კობი სადღეისოდ მხოლოდ ალენ აივერსონს ჩამოუვარდება, რომელიც თავისი „ფილადელფიისათვის“ თამაშში საშუალოდ 33.4 ქულას შოულობს.

ახლა იმ კაცზეც ვთქვათ, ვინც ბრაიანტს „უშლიდა ხელს“. კაცზე კი არა, გიგანტზე, რომელთანაც ბრაიანტი კი არა, მგონი, ჯორდანიც კი დაიჩრდილებოდა.

შაკილ ონილი!

ეს დევი თავს ბედნიერად გრძნობს „მაიამიში“ და სულაც არ ნანობს, ბრაიანტის გვერდით რომ აღარ უწევს თამაში. ამ სამშაბათს მან მორიგი მატჩი ჩაარიხინა და მისი ბორბლების ქვეშ ამჯერად ჩვენებური ზაზა ფაჩულია მოჰყვა. რაც „ატლანტას“ მაისურა მოირგო, ზაზას ასეთი უბარაქო თამაში არ ჰქონია: სამი ქულა, 2 მოხსნა...

ქართველმა მეფარემ, კარგა ხანია, გადაგვაჩვია ასეთ უფერულ ციფრებს, მაგრამ შაკთან მან, მართლაც, ვერაფერი გააწყო. ის კი არა, ამ მონსტრს ვერავინ აუფრენს ბუზს თავიდან და ზაზასაც რომ არაფერი გამოუვიდა, ეს ნაღდად არ გვიკვირს.

**კოტე ყორშია**

20 დეკემბერი

**მაიამი 111:92 ატლანტა**

**მაიამი:** პეიტონი (15), ვეიდი (14), პოუზი (5), ჰეისლიმი (4), ონილი (28 ქულა, 10 მოხსნა); გიტჩი (15), უოლკერი (14), კაპონო (8), სიმიენი (4), დოლიკი (3), რაიტი (2)

**ატლანტა:** აივი (2), ჯონსონი (13), სმიტი (4), ჰარინრტონი (12), **ფაჩულია** (18 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 3 ჩაჭრა); უილიამსი (26), ჩილდერსი (14), ედვარდსი (8), სტუდემაიერი (7), ლუ (2), ბატისტა (1)

**ლეიკერსი 112:90 დალასი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (62)

**დალასი:** ნოვიცკი (18 ქულა, 11 მოხსნა), ჰარისი (14)

**კლივლენდი 110:85 იუტა**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (25), ილგაუსკასი (18), ჯექსონი (14)

**იუტა:** გირიჩეკი (16)

**დეტროიტი 93:89 პორტლენდი**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (23), პრინსი (21), ბილაფსი (19 ქულა, 10 პასი), ბ. ვოლესი (13 ქულა, 14 მოხსნა)

**პორტლენდი:** რემდოლფი (37 ქულა, 11 ამოხსნა), დიხსონი (14), პატერსონი (14)

**ნიუ ჯერსი 99:85 კლიპერსი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (35 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ჯეფერსონი (20), კრსტიჩი (17)

**კლიპერსი:** ბრენდი (21 ქულა, 13 მოხსნა), მობლი (15)

**მილუოკი 109:107 სან ანტონიო**

*ძირითადი დრო 100:100*

**მილუოკი:** უილიამსი (28), რედი (20), ბოგუტი (19), ფორდი (15)

**სან ანტონიო:** დანკანი (34 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (22 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**ჩიკაგო 92:105 შარლოტი**

**ჩიკაგო:** ჰარინგტონი (16), დუჰონი (16), ჰაინრიხი (14)

**შარლოტი:** ფელტონი (21), ნაითი (20 ქულა, 10 პასი), ვოლესი (19), ბრეჟეცკი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 111:83 სიეტლი**

**ფინიქსი:** მარიონი (29), ჰაუსი (20), ჯონსი (16), დიაუ (13 ქულა, 8 პასი, 8 მოხსნა)

**სიეტლი:** ალენი (26), ევანსი (21 ქულა, 18 მოხსნა), ლუისი (16)

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცხეთელებს ფრენბურთის სარბიელი მოუწყვეს და იქაური გუნდიც დაიბადა



ოლიმპიური მზადების ცენტრისა და მცხეთელი ფრენბურთელები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს



მცხეთელები დიდი მიზნებით მოდიან ფრენბურთში

# მცხეთელები სატოპკედ ემზადებიან

*მომავალი სეზონიდან ქართულ საფრენბურთო კლუბებს მცხეთა შეემატებათ. სპორტული ტრადიციებით მდიდარ ქალაქში ფრენბურთის რეგიონალური ფედერაცია ორი თვის წინ, მცხეთობის დღესასწაულზე სათემო კავშირის ინიციატივით დაარსდა და მაშინვე გადაწყდა, რომ სპორტის ამ სახეობას ყურადღება არ მოჰკლებოდა*

**ფედერაციის** პრეზენტაციას საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან აზვლედიანიც დაესწრო. იქვე იყო ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა და წარსულში სახელგანთქმული ფრენბურთელი სტანისლავ ბჟინოვი.

„მცხეთაში რეგიონალური ფედერაციის ჩამოყალიბებას თავის დროზე დადებითად შეხვდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე და ქალაქის მერი ვახტანგ მარტოლეკი — გვითხრა რეგიონალური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა შადიმან ბიწაძემ — მათი მხარდაჭერითა და თანადგომით უკვე აშენდა ორი მოედანი, მათ შორის ერთი პლაჟის ფრენბურთისთვის".

პრეზენტაციის შემდეგ ჯერ მხოლოდ ორი თვე გავიდა, რაც სპორტში არცთუ დიდი პერიოდია, თუმც მცხეთაში უკვე ახალგაზრდული გუნდიც ჩამოაყალიბეს და საგაზაფხულოდ დასაწყები ეროვნული ჩემპიონატისთვის ინტენსიურადაც ემზადებიან.

*შადიმან ბიწაძე:*

— სპორტული დაოსტატების საქმეში მცხეთის გუნდს უდიდეს დახმარებას უწევს ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების ცენტრი. რეგულარულად ტარდება მომავალი ოლიმპიელებისა და მცხეთელი ფრენბურთელების შეხვედრები.

...სახალხო ინიციატივას რომ უდიდესი შედეგის მოტანა შეუძლია, ამის შესანიშნავი მაგალითი უკვე თვალსაჩინოა, თუმცა, სათემო კავშირისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ნაყოფს მომავალში უკეთესად დავინახავთ.

...უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია სპორტული კავშირების დამყარება თურქეთის კაპადოკიის მხარის ფრენბურთის ფედერაციასთან, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში ბასკეთის ფრენბურთის ფედერაციასთან.

ჭადრაკი

# კარპოვის ფიქრები, მე პრეზიდენტი ვიქნები

*მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი, რუსი ანატოლი კარპოვი ფიდეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. დიდოსტატს საშინლად აღიზიანებს ფიდეს ახლანდელი პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის საქმიანობა და თუ ხელისუფლებაში მოვიდა, ძირეულ რეფორმებს გვპირდება. არჩევნები გაისად მაისშია დაგეგმილი და კარპოვიც უკვე საგულდაგულოდ ემზადება. ამ და სხვა საჭადრაკო თემებზე თავად კარპოვი ისაუბრებს*



— რამდენიმე ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციამ მირჩია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, მეც დავფიქრდი, ყველაფერი გავაანალიზე და დავთანხმდი.

**— არჩევნებში თუ გაიმარჯვებთ, პირველად რას გააკეთებთ?**

— შევცვლი მსოფლიოს ჩემპიონატის ფორმატს, ახლანდელი ნოკაუტ-სისტემა მოჭადრაკეთათვის მიუღებელია. ეს ჩოგბურთი არ არის, თამაშისას დაშვებული შეცდომა რომ გამოასწორო. ჭადრაკში ერთი უზუსტობა თამაშის ბედს წყვეტს.

**— ახალი რვაკაციანი სისტემა მოგწონთ?**

— არც ეს არის მოსაწონი. რვა კაცი ჩემპიონის გვირგვინისთვის, მგონი, მეტისმეტია. არგენტინაში ახლახან რა მოხდა, ხომ ნახეთ. ზოგიერთი მოჭადრაკე ფორმაში არ იყო და საშინელი შედეგიც აჩვენა. ჯობს, ჩემპიონის გვირგვინის მაძიებელმა ორმა დიდოსტატმა ტურნირით გაარკვიოს გამარჯვებულის ბედი.

**— ახალი ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი თქვენი თაობის ღირსეული გამგრძელებელია?**

— მან დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმც არა მგონია, ღირსეული ლიდერი გახდეს. ჯერ კიდევ ბევრი აკლია ბობი ფიშერამდე, ჩემამდე და გარი კასპაროვამდე. მიუხედავად ამისა, ტოპალოვს ჯერ კიდევ შესწევს ძალა და ენერგია, შეუძლია წარმატებისთვის იბრძოლოს.

არგენტინაში ტოპალოვს ფავორიტად არ ვთვლიდი და უფრო პეტერ ლეკოსი მეიმედებოდა, მაგრამ, გახსოვთ იგი პირველივე შეხვედრაში ტოპალოვთან დამარცხდა და ფაქტობრივად ჩემპიონატიც ჩააგდო. კარგად თამაშობდა ვიშვანათან ანანდი, თუმც, როგორც ჩანდა, ძალიანაც არ იკლავდა თავს მეორედ ჩემპიონობისთვის.

**— ილუმჟინოვის ახლანდელ საქმიანობას როგორ შეაფასებდით?**

— რაღაც სასარგებლო კი გაუკეთა მოჭადრაკეებს, თუმც ავტორიტეტი ვერ აიმაღლა. მისმა საქმიანობამ შედეგი ვერ გამოიღო. ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსი ფაქტობრივად გაუფასურებულია, იკარგება საერთაშორისო ტურნირები. ფიდეში თანდათან დიქტატი ისადგურებს. ილუმჟინოვმა საჭადრაკო ცხოვრება ბოლომდე არ იცის და მმართველი გუნდიც საშინელი ჰყავს.

**— ამჟამად რა დროს უთმობთ ჭადრაკს?**

— მე მრავალ სოციალურ საკითხზე ვმუშაობ, თუმც ჭადრაკისთვის დრო მაინც საკმაოდ მრჩება. ტურნირებზე ვთამაშობ, რუსეთის ოცამდე რეგიონში კი რამდენიმე არაკომერციული სკოლა გავხსენი. გარდა რუსეთისა, სკოლები მსოფლიოს თექვსმეტ ქვეყანაშიც მაქვს. ჭადრაკი სწრაფად ვითარდება არგენტინასა და ჩილიში. თვითონ ვიყავი იქ ჩასული და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.

**— ალბათ იცით, რომ დიეგო მარადონას თქვენი ნაჩუქარი ჭადრაკი მოჰპარეს.**

— დიახ, ვიცი. მარადონამ ცოტა ხნის წინ დამირეკა და მთხოვა, რომ იმ ჭადრაკის ასლი გამეგზავნა.

**— აქტიური ჭადრაკი დაასრულეთ?**

— არა, უბრალოდ, ამ უაზრო მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ ვმონაწილეობ, ტურნირებზე კი ხანდახან ვჩნდები. შარშან ოთხი ტურნირი მოვიგე და უკვე 163 დამიგროვდა. აბა, მსგავსი ჯილდოები რომელ მოჭადრაკეს აქვს? ამჟამად მსოფლიო საჭადრაკო ტურნირების დეფიციტს განიცდის. მე რომ გავხდი დიდოსტატი, მაშინ ტურნირების ბუმი იყო. შეგეძლო, მარტო ესპანეთში ყოფილიყავი და მთელი წელიწადი სოლიდური ტურნირები გეთამაშა. ახლა აღარაფერია და არც ვიცი, გაისად სად ვითამაშებ.

# ახალი მოტივაციით ძველი პოზიციების დასაბრუნებლად

## დოკიჩი ავსტრალიის ღია პირველობაზე იასპარეზებს

ელენა დოკიჩმა, რომელიც ორიოდე წლის წინ რეიტინგში პირველ ხუთეულშიც შედიოდა, ამ კვირას ავსტრალიის ღია პირველობის ეგრეთ წოდებული WILDCARD-ი მოიგო, რაც საშუალებას მისცემს, დამდეგ წელს „დიდი მუზარადის" პირველ ტურნირში მიიღოს მონაწილეობა.

ავსტრალიის ღია პირველობა დოკიჩისთვის პირველი დიდი ტურნირი იქნება 2004 წლის აგვისტოს შემდეგ, როცა ელენამ აშშ-ის ღია პირველობაზე იასპარეზა. რაც მთავარია, დოკიჩი უკვე ავსტრალიის სახელით იასპარეზებს.

შევახსენებთ, რომ აქამდე 5 წლის განმავლობაში დოკიჩი სერბია-ჩერნოგორიის სახელით გამოდიოდა.

22 წლის დოკიჩი დღესდღეობით რეიტინგში 349-ე ადგილზეა. არადა, წელიწადნახევრის წინ ის მე-4 პოზიციას იკავებდა ერთეულთა თანრიგში, წყვილებში კი ტოპათეულში იყო.

ელენაც უკვე ახალი ქვეყნის სახელით, ახალი დროშის ქვეშ და ახალი მოტივაციით შეეცდება ძველი პოზიციების დაბრუნებას.

„რეიტინგში ძალიან უკან ვარ, უარესი თითქმის შეუძლებელია. ასე რომ, დასაკარგი არაფერი მაქვს, არც რაიმე ზეწოლას ვგრძნობ და თავისუფლადაც ვითამაშებ. მხოლოდ წინ წაწევა შემიძლია. ყოველი მოგებული მატჩი რეიტინგში წინსვლის მაჩვენებელი იქნება. მე შემიძლია პირველ ასეულში დავბრუნდე და ეს ჩემი უმთავრესი მიზანია, თუმცა, თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მინდა, მაშინ 50 ჩოგბურთელშიც მოვხვდები" — თქვა დოკიჩმა.

**ქახა ლომაშვილი**



ელენე დოკიჩი

# დიდებული ამბავი

**გუშინ** ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისის დაბრუნება აქტიურ სპორტში დამდეგი წლის პირველივე კვირას მოხდება სიდნეიში გასამრთ „AUSTRALIAN HARDCOURT CHAMPIONSHIP"-ზე.

ამის შემდეგ შვეიცარიელი ადელაიდის ტურნირშიც გამოვა, რის შემდეგადაც ავსტრალიის ღია პირველობის გათამაშებაში ჩაებმება. ორგანიზატორებმა შვეიცარიელს ეგრეთ წოდებული „WILDCARP" მისცეს, რის გამოც ჰინგისი პირდაპირ დაიშვება ტურნირზე.

„ჰინგისი ემზადება ტურნირისთვის და ეს მართლაც დიდებული ამბავია. მან გადაწყვიტა, სპორტს დაბრუნებოდა და ის ჩვენგან არანაირ წინააღმდეგობას არ წაწყდომია" — თქვა ავსტრალიის ღია პირველობის აღმასრულებელმა დირექტორმა პოლ მაკნეიმმა.

შვეიცარელი კი იმედოვნებს, რომ „დიდი მუზარადის" პირველ ტურნირის სათანადო ფორმაში შეხვდება:

„მინდა სრულ მზადყოფნაში ვიყო, რათა მელბურნის კორტებზე კარგად გამოვიდე. აქ ყოველთვის შინაურულად ვგრძნობდი თავს და არ მინდა, მაყურებლებს იმედი გავუცრუო".

**ქახა ლომაშვილი**



# თადარიგიც ამას ჰქვია

## მაკლარენს ალონსო მიჰყავს



ფერნანდო ალონსო „რენოს" ღალატობს

**მეფორმულეებმა** წლეულს ბოლო სატესტო სესია ჩაამთავრეს და საშობაო არდადეგებზე წავიდნენ. ახალ წლამდე თითქოს მოსალოდნელი ალარაფერი იყო, თუმცა სენსაციური ამბავი მაინც მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის სეზონამდე უამრავი დროა, „მაკლარენ-მერსედესის" ინგლისელმა ბოსმა, რონ დენისმა, ჩვეულებას არ უღალატა და ასე ნაადრევად გააფორმა მორიგი ხმაურიანი ხელშეკრულება.

მსოფლიოს ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს „რენოსთან" კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს კი ეწურება, მაგრამ ბრიტანულ-გერმანულმა საჯინიბომ თადარიგი ახლავე დაიჭირა და 24 წლის ესპანელი პილოტი უკვე დაისაკუთრა. იგივე მოხდა ორი წლის წინათაც, როცა დენისმა „უილიამსიდან" კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია გადაიბირა.

ალონსო გაისადაც „საჰეფო რბოლების" გვირგვინის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, თუმცა მისი განცხადებით, იმედი აქვს, რომ „მაკლარენი" ერთი წლის შემდეგ „რენოზე" ძლიერი იქნება:

„გულსატკენია, რომ „რენოს" დატოვება მომიწევს, სადაც ჩემპიონობა მოვიპოვე. მაგრამ ზოგჯერ გვეძლევა შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვა. მე ეს ნაბიჯი გადავდგი და მიხარია, რომ ძლიერი გუნდის ღირსებას დავიცავ. ეს ჩემთვის სერიოზული გამოწვევა და დიდი პატივია. რასაკვირველია, 2006 წელს ყველაფერს ვილონებ, რათა „რენოსთან" ერთად ჩემპიონის ტიტული დავიცვა."

ცხადია, ამ ტრანსფერს სხვა მიზეზებიც აქვს. ხმები დადის, „რენო" შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ გაიყიდოსო. იმასაც ამბობენ, დენისი ალონსოს ამჟამინდელ წლიურ რვა მილიონ დოლარზე ბევრად მეტს სთავაზობსო.

ახალი კონტრაქტი სამწლიანია, შემდეგ ერთსეზონიანი გაგრძელების ვარიანტით, ანუ 2010 წლის ბოლომდე.

ნანდოს ჯამაგირი „რენოში" გაისად 12 მილიონამდე გაიზრდება, დენისი კი ორჯერ მეტს, 24 მილიონს გადაუხდისო, ხოლო ლონდონის „ტაიმსი" უფრო შორს მიდის და 37 მილიონზე ლაპარაკობს.

ფერნანდოს მისვლით „მაკლარენის" ერთ-ერთ პილოტს — მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორ კიმი რაიკონენს ან ხუან მონტოიას წასვლა მოუწევს. უფრო, ალბათ, ფინელ კიმის, ვის შესახებაც კარგა ხანია ამბობენ, 2007 წლიდან „ფერარიში" მიხაელ შუმახერს შეცვლისო.

რაც შეეხება უშუალოდ საგაისო, „სამეფო რბოლების" რიგით 57-ე ჩემპიონატს, გუნდების სარეგისტრაციო ვადის გასვლის მიუხედავად, ჯერაც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი ახალი იაპონური საჯინიბოს „სუპერ აგურის" ბედი.

წესით, გუნდი არ უნდა დაუშვან 2006 წლის პირველობაში, რადგან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციაში დროულად არ წარმოუდგენიათ ყველა საჭირო საბუთი და არ მოესწრო სამონაწილეოდ ყველასთვის აუცილებელი, საგარანტიო 48 მილიონი დოლარის გადახდა. მაგრამ საჯინიბოს შეფი, წარსულში ცნობილი იაპონელი პილოტი, 45 წლის აგური სუძუკი იმედს არ კარგავს, ყველაფერს უახლოეს დღეებში მოვაგვარებთ და ხელახალ რეგისტრაციასაც გავივლითო.

თუმც ამგვარ ვითარებაში უკვე აუცილებელია ყველა, ათივე გუნდის თანხმობა, რაც „უილიამსმა" და MF1 („მიდლენდმა", ყოფილმა „ჯორდანმა") იუარეს.

მაგრამ გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, კონფლიქტი მოგვარებულია. საქმეში იაპონიის პოლიტიკური წრეებიც კი ჩაერთნენ, რათა უმაღლესი საფორმულო „ბერკეტების" მეშვეობით ურჩი ბოსები დაეყაბულებინათ.

თუ ყველაფერი აგურელებისთვის სასიკეთოდ დასრულდება, მაშინვე გაუფორმებენ კონტრაქტს ტაკუმა სატოს, რომელიც წლეულს „BAR-ჰონდით" დაჯირითობდა. მეორე მძღოლიც ალბათ იაპონელი იქნება — საკონ ნაკამოტო ან კოსუკე მაცუურა.

რაც შეეხება საბრძოლო ტექნიკას, დასაწყისში გამოიყენებენ „ეროუსის" 2002 წლის ნიმუშის ბოლიდებს „ჰონდას" რვაცილინდრიანი ძრავებით, მაისში კი მზად იქნება აბსოლუტურად ახალი მანქანები „სუპერ აგურის" მარკით.

**გია ახალაძე**

### 2006 წლის ჩემპიონატის მონაწილეები

| გუნდი | მრბოლი | ასაკი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| რენო | ფერნანდო ალონსო | 24 | ესპანეთი |
| | ჯანკარლო ფიზიკელა | 33 | იტალია |
| მაკლარენ-მერსედესი | კიმი რაიკონენი | 26 | ფინეთი |
| | ხუან-პაბლო მონტოია | 30 | კოლუმბია |
| სკუდერია ფერარი | მიხაელ შუმახერი | 36 | გერმანია |
| | ფელიპე მასა | 24 | ბრაზილია |
| ტოიოტა | იარნო ტრული | 31 | იტალია |
| | რალფ შუმახერი | 30 | გერმანია |
| უილიამს-კოსუორტი | მარკ ვებერი | 29 | ავსტრალია |
| | ნიკო როსბერგი | 20 | გერმანია |
| ჰონდა | ჯენსონ ბატონი | 26 | დიდი ბრიტანეთი |
| | რუბენს ბარიკელო | 33 | ბრაზილია |
| რედ ბული | დევიდ კულჰარდი | 34 | დიდი ბრიტანეთი |
| | კრისტიან კლიენი | 23 | ავსტრია |
| BMW ზაუბერი | ნიკ ჰაიდფელდი | 28 | გერმანია |
| | ჟაკ ვილნევი | 35 | კანადა |
| MF1 რეისინგ-ტოიოტა | კრისტიან ალბერსი | 26 | ჰოლანდია |
| | ტიაგო მონტეირო | 29 | პორტუგალია |
| ტორო როსო-კოსუორტი | ვიტანტონიო ლიუცი | 25 | იტალია |
| | სკოტ სპიდი | 23 | აშშ |
| სუპერ აგური-ჰონდა ? | ტაკუმა სატო ? | 28 | იაპონია |
| | საკონ ნაკამოტო ? | - | იაპონია |
| | კოსუკე მაცუურა ? | - | იაპონია |



„დეტროიტი“ სეზონში პირველად ბულიტების სერიის მოგებას ზეიმობს

# როცა ზურგსუკან ბოსია

20 დეკემბერი

**კაროლინა 6:4 ტამპა**
*3:2 1:2 2:0*

0:1 მოდინი (4), 1:1 სტაალი (7), 2:1 ჰაჩინსონი (9), 2:2 პროსპალი (9), 3:2 სტაალი (19), 4:2 კოული (28), 4:3 კრეიგი (37), 4:4 სან ლუი (40), 5:4 კალენი (44), 6:4 უილიამსი (53)

**მოკლედ,** კანადის ოლიმპიური ნაკრების მესვეურებს ბლომად საფიქრალი გაუჩნდათ. გუნდის აღმასრულებელ დირექტორ უეინ გრეცკის ოჯახურ პრობლემებზე წინა ნომერშიც ვწერდით. უეინს დედა გარდაეცვალა და ცხადია, ნაკრებისთვის აღარ სცალია. არადა, ოთხშაბათს კანადამ თავისი ოლიმპიური შემადგენლობა უნდა დაასახელოს. ჰოდა, ჯერაც ბევრი კიხვა რჩება.

ახლა ერიკ სტაალმა გაუჩინა ნაკრების თავკაცებს საფიქრალი. აქამდე „კაროლინას“ 22 წლის ლიდერი შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, ბოლო ხანებში სტაალი ისე კარგად ასპარეზობს, რომ მისი ტურინში არწაყვანა ნამდვილი ცოდვა იქნება. ერიკმა ამჯერადაც ორი შაიბა გაიტანა და კიდევ ერთი ისეთი პასი გააკეთა, რომ სპეციალისტებიც კი პირღია დარჩნენ — კარისკენ მოსრიალე სტაალმა შეუმჩნეველი მოძრაობით ისე მიაწოდა შაიბა მეტ კალენს, რომ მას მხოლოდ ცარიელი კუთხის დალაშქვრალა მოუხდა.

**რეინჯერსი 1:3 ნიუ ჯერსი**
*0:0 1:0 0:3*

1:0 რუჩინი (35), 1:1 ჯიონტა (55), 1:2 მოგილნი (55), 1:3 მედენი (60)

**საფინალო** სასტვენისთანავე „ნიუ ჯერსის“ მეკარე მარტინ ბროდომ შაიბა ხელთ იგდო, სათადარიგოთა სკამს მიაშურა და რეზინის დისკი ლუ ლამორელოს მიართვა. ამ ჟესტით მან თავისი მხარდაჭერა გამოხატა კლუბის ენერალური მენეჯერის მიმართ, რომელიც მატჩის წინა დღეს საკუთარი ინიციატივით დროებით თავკაცის პოსტზე დაინიშნა.

ეს იძულებითი ნაბიჯი მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ყველასთვის მოულოდნელად ყოფილმა თავკაცმა ლარი ნობინსონმა თავისი პოსტი დატოვა. სწორედ რომ დატოვა, ვინაიდან მის მოხსნას ლამორელო არ აპირებდა, მაგრამ რობინსონმა გაუთავებელი თავის ტკივილი და ცუდი განწყობა მოიმიზეზა.

როგორც ხედავთ, ლამორელოს დებიუტი ხეირიანი გამოდგა.

„ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ახლა ბოსი გიდგას ზურგს უკან სათადარიგოთა სკამზე. თუმც ამაში ბევრი პოზიტიური მომენტია და ეს თამაში ამას ნათლად ცხადყოფს“ — თქვა ნამატჩევს ნიუჯერსელმა სკოტ გომესმა.

**დეტროიტი 4:3 კოლუმბუსი**
*2:1 0:0 1:2 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*

1:0 ლანგი (5), 1:1 ნეში (14), 2:1 მოუერსი (17), 2:2 ვესტკოტი (49), 3:2 შენაჰანი (51), 3:3 ჟერდევი (56), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: უილიამსი

**ამ** თამაშამდე მხოლოდ „დეტროიტს“ არ ჰქონდა ჩატარებული ბულიტების მატჩისშემდგომი სერია. თუმც ამან მასპინძლებს ხელი როდი შეუშალა. პაველ დაციუკმა და ჯეისონ უილიამსმა ორივე დარტყმა გამოიყენეს, მაშინ როცა სტუმართაგან ბულიტებში მხოლოდ იაროსლავ ბალაშტიკმა იხეირა. აი, ძალიან მოწადინებულ სერგეი ფიოდოროვს (2 პასი), რომელიც პირველად თამაშობდა „კოლუმბუსის“ რიგებში, ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ არაფერი გამოუვიდა.

**ნეშვილი 3:2 კოლორადო**
*2:1 0:0 1:1*

1:0 სალივანი (8), 2:0 ჟიდლიცკი (10), 2:1 ტერჯონი (17), 3:1 ჰარტნელი (51), 3:2 ლაილსი (59)

**ფინიქსი 4:5 ლოს ანჯელესი**
*2:1 1:2 1:2*

1:0 სენდერსონი (6), 1:1 სილინჯერი (17), 2:1 კომრი (18), 2:2 სილინჯერი (25), 3:2 ლუნდმარკი (32), 3:3 იანგი (38), 3:4 დაუნი (44), 3:5 მაიერსი (51), 4:5 კომრი (57)

**მონრეალი 4:3 ოტავა**
*0:1 2:2 1:0 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*

0:1 სპეცა (2), 0:2 მესაროში (25), 0:3 ხარა (33), 1:3 სუნდსტრიომი (34), 2:3 რაიდერი (37), 3:3 კოვალიოვი (45), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: დაჟენე

**სან ხოსე 4:2 ანაჰაიმი**
*2:1 0:0 2:1*

1:0 ჩიჩუ (3), 2:0 პარკერი (4), 2:1 სიკორა (18), 3:1 ჩიჩუ (45), 4:1 ჩიჩუ (46), 4:2 სელიანე (54)

**ჯონატან ჩიჩუ** ჯო ტორნტონთან პარტნიორობამ უკვე ისე გაამხნევა, რომ ის სახელიანი მეპასის დახმარების გარეშეც იტანს. ამჯერად ჩიჩუს მიერ გატანილი სამი შაიბიდან ტორნტონმა მხოლოდ ერთში მიიღო მონაწილეობა, დანარჩენი ორი კი ჩიჩუმ მცველისგან შაიბის ართმევისა და ბულიტის შემდეგ მიითვალა.

**სამველ ლარიბიანი**

# პირველი სატურინო ნაკრები

## აშშ-მ ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა

**2006 წლის** ოლიმპიურ ტურნირში მონაწილე ჰოკეის წამყვანი ქვეყნების შემადგენლობის გამოცხადების ვადა 23 დეკემბერს რომ იწურება, იცით. და აი, აშშ-ს ნაკრების ხელმძღვანელებმა „დედლაინამდე“ ოთხი დღით ადრე პირველებმა ამცნეს საზოგადოებას გუნდის შემადგენლობა.

ნაკრებში ძირითადად ცნობილი სახეებია:

***მეკარეები:*** *რიკ დიპიეტრო („აილენდერსი“), რობერტ ეში („ფილადელფია“), ჯონ გრეში („ტამპა“);*

***მცველები:*** *კრის ჩელიოსი („დეტროიტი“), ჯორდან ლეოპოლდი („კალგარი“), ჯონ-მაიკლ ლაილსი („კოლორადო“), დერიან ჰეტჩერი („ფილადელფია“), მეთიუ შნაიდერი („დეტროიტი“), აარონ მილერი („ლოს ანჯელესი“) და ბრაიან რაფალსკი („ნიუ ჯერსი“);*

***ფორვარდები:*** *მაიკ მოდანო („დალასი“), დუგ უეიტი („სენტ ლუისი“), ბრაიან ჯიონტა („ნიუ ჯერსი“), მარკ პერიში („აილენდერსი“), ჯეისონ ბლეიკი („აილენდერსი“), ერიკ კოული („კაროლინა“), კრეიგ კონროი („ლოს ანჯელესი“), სკოტ გომესი („ნიუ ჯერსი“), კრის დრორი („ბუფალო“), ბილ გერინი („დალასი“), ბრაიან როლსტონი („მინესოტა“), კეიტ ტკაჩუკი („სენტ ლუისი“) და მაიკ კნუბლი („ფილადელფია“).*

როგორც ხედავთ, ნაკრებში ჯერ მოხვდა აშკარად რამდენიმე სახელოვანი ვეტერანი, მაგალითად, ჯერემი როენიკი და ჯონ ლეკლერი. სამაგიეროდ, შემადგენლობაში აღმოჩნდა უბერებელი 44 წლის კრის ჩელიოსი, რომლისთვისაც ეს, ისევე როგორც ბილ გერინისთვის, რიგით მეოთხე ოლიმპიადა იქნება. პირველად ჩელიოსმა ჯერ კიდევ 1984 წლის ტურნირზე იასპარეზა.

დაბოლოს, კანადის ნაკრებზეც ვთქვათ, რომელიც უეინ გრეცკის არყოფნაში საკმაოდ რთულ ვითარებაში ჩავარდა.

მოგეხსენებათ, რომ შაბათს გრეცკიმ „ფინიქსის“ თავკაცის პოსტი დროებით დატოვა დედამისის, ფილის გრეცკის ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ ექიმებმა ფილისი ვერ გადაარჩინეს.

ცხადია, ჯერჯერობით გრეცკი ნაკრების ფორმირებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ხოლო გაუძღვება თუ არა იგი გუნდს ტურინში, ეს ჯერ უცნობია.

**სამველ ლარიბიანი**



# რაჰმანს ქამარი უბოძეს

**ამერიკელი** მოკრივე ჰასიმ რაჰმანი ოფიციალურად გახდა სუპერმძიმე წონაში WBC ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი. მექსიკის ქალაქ კანკუნში გამართულ ცერემონიალზე მას ჩემპიონის ქამარი გადაეცა, რომელიც რინგიდან ვიტალი კლიჩკოს წასვლის შემდეგ ვაკანტური იყო.

ამ ცერემონიალს დაესწრო თავად უკრაინელი მოკრივეც. უფროს კლიჩკოს გადაეცა WBC ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ქამარი. ამის შედეგად, ამავე ორგანიზაციის წესისამებრ, თუ კლიჩკო რინგზე დაბრუნდება, მას შეეძლება უმალ საჩემპიონო ბრძოლისთვის პრეტენდენტის უფლება მიიღოს.

# ჰოპკინსის 80 პროცენტი

**ყოფილი** მსოფლიოს ჩემპიონი საშუალო წონაში ბერნარდ ჰოპკინსი პროფესიულ კრივს თავს ანებებს.

„80 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ რინგზე აღარ დავბრუნდები“ — განაცხადა ჰოპკინსმა და ისიც დაამატა, რინგზე მიღწეული წარმატებები საკმარისია იმისათვის, რომ ჩემი სახელი ისტორიაში დარჩესო.

„მე უკვე არც სახელისთვის მჭირდება ბრძოლა და არც ფულისთვის. 18 წელიწადი გავატარე რინგზე და ნორმალურ ადამიანად დავრჩი, ისე მივდივარ, რომ ტვინიც და სხეულიც დაუშავებელი მაქვს“.



## იტალია

**სერია A. XVII ტური**

რომა 4:0 კიევო
ასკოლი 1:0 ტრევიზო
ფიორენტინა 1:0 პალერმო
ინტერი 4:1 ემპოლი
იუვენტუსი 2:0 სიენა
ლეჩე 0:0 ლაციო
ლივორნო 0:3 მილანი
მესინა 1:1 რეჯინა
პარმა 1:0 კალიარი
უდინეზე 2:0 სამპდორია

**სერია B. XXI ტური**

არეცო 1:0 პიაჩენცა
პესკარა 2:1 მანტოვა

**სერია C1/A. XVII ტური**

ფერმანა 2:1 ლუმეცანე
ჯულიანოვა 1:1 მონცა
პადოვა 1:0 სამბენედეტეზე
პიციგეტონე 1:1 ჩიტადელა
პრო სესტო 0:2 სალერნიტანა
პრო პატრია 1:1 პავია
რავენა 2:0 სპეცია
სან მარინო 0:1 ნოვარა
ჯენოა 0:0 ტერამო

**სერია C1/B. XVII ტური**

აკირეალე 1:0 გროსეტო
კიეტი 1:0 პიზა
ჯელა 0:0 იუვე სტაბია
მანფრედონია 2:0 პერუჯა
მასეზე 0:1 ფროზინონე
ნაპოლი 3:0 ლანჩანო
პისტოიეზე 1:0 მარტინა
ს. ტორესი 1:1 ფოჯა
ლუკეზე 0:0 სანჯოვანეზე

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი XVII ტური**

დეპორტივო 1:2 ესპანიოლი
ხეტაფე 1:0 სევილია
მალაგა 0:0 ვილიარეალი
ბეტისი 3:0 ალავესი
რეალი 1:2 რასინგი
სოსიედადი 2:0 კადისი
სარაგოსა 3:2 ბილბაო
ვალენსია 3:0 მალიორკა

**სეგუნდადივიზიონი XVIII ტური**

ვალიადოლიდი 3:3 ლევანტე
სიუდად მურსია 4:1 ელჩე
ნუმანსია 0:1 ხიმნასტიკი
სპორტინგი 1:1 პოლი ეხიდო
ერკულესი 1:1 მურსია
ალმერია 2:1 მალაგა B
ხერესი 3:1 ალბასეტე

## გერმანია

**თასის მერვედფინალი**

*აინტრახტი* 1:1დ.დ.(პენ.1:3) *ნიურნბერგი*
ჰანოვერი 1:4 *ვერდერი*
ჰანზა 1:1დ.დ.(პენ.2:3) *ოფენბახი*
*ზანქტ პაული* 4:3დ.დ.(2:2) ჰერთა
*ბაიერნი* 1:0დ.დ.(0:0) ჰამბურგი

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XVI ტური**

ფერეირა 1:2 მარიტიმუ
ლეირია 2:1 ნავალი
აკადემიკა 0:1 ბელენენსეში
ჟილ ვისენტე 2:1 ბრაგა
სეტუბალი : ბენფიკა *გვიან დამთავრდა*

**II დივიზიონი. XVI ტური**

სანტა კლარა 2:2 ვარზიმი
მაია 3:2 შავეში
ეშტორილი 2:1 ბარეირენსე
ვიზელა 1:2 ბეირა მარი
ლეიშოეში 2:0 გონდომარი
ფეირენსე 2:1 მორეირენსე
ოვაირენსე 0:3 ოლიანენსე
კოვილია 2:1 პორტიმონენსე
მარკუ : ავეში *გვიან დამთავრდა*

## საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

*ტულუზი* 2:0 პსჟ
ოსერი 1:1დ.დ.(პენ.1:4) *ლე მანი*
*მონაკო* 1:0 ლილი
მონპელიე 0:1 *აიაჩო*
*ნანსი* 1:0 ლორიანი

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

დონკასტერი 2:2დ.დ.(პენ.1:3) *არსენალი*
მიდლსბრო 0:1 *ბლექბერნი*

## ბელგია

**თასის მერვედფინალი**

*სტანდარდი* 1:0 ბეერსხოტი
*გენტი* 1:1დ.დ.(პენ.5:3) სერკლი
*ბევერენი* 5:1 ლოკერენი
*შარლერუა* 2:0 ოდ ევერლე
გეელი 0:1 *ვარეგემი*
ლიერსი 1:2 *ვესტერლო*
*მუსკრონი* 2:1დ.დ.(1:1) მონსი
*სენტ ტრუიდენი* 2:1 გენკი

## თურქეთი

**თასის II ეტაპი**

გერასუნი 1:2 დიარბაქირი
ტარსუსი 3:4 ანკარაგიუჯიუ
ფენერბაჰჩე 0:2 გაზიანთეფი
ძარაგუმრუქი 1:2 ტრაბზონი
ინეგოლსფორი 1:1 სარიერი
სამსუნი 5:3 ქონია

## საბერძნეთი

**თასის მერვედფინალი**

აგროტიკოსი 2:0 ერგოტელისი
აეკ 1:1 ეთნიკოსი
ლარისა 0:0 კალამარია
თრასივულოსი 0:2 ოლიმპიაკოსი

## ჰოლანდია

**თასის მერვედფინალი**

ალკმაარი 2:0 ნაიმეგენი
როდა 1:0 ფეიენოორდი

# ოლიმპიური ბავშვები

ოლიმპიური ჩემპიონი დენიზ ლუისი ერთი ხალისიან ფოტოსესიაში ჩაბმულა. ეს ნორჩები ყველანი ზუსტად თითო წლისანი არიან და მშობლებს დაბადებისთანავე ჩაუწერიათ ე.წ. იმედის ბავშვთა პროგრამაში, რომელიც ჩაბმულია 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადასთან. ასეთი ბავშვი ინგლისში სულ სამასი შეურჩევიათ და წამოზრდილები ნაირგვარ აქციებში მიიღებენ მონაწილეობას.




AFP ფოტოები



AFP ფოტოები

# პირველი მოტოროლა

განთქმული რუსის ჩოგბურთელი, 18 წლის მარია შარაპოვა იაპონიაშია და თავის გულშემატკივრებს ხვდება. ოსაკაში მისთვის უჩუქებიათ „მოტოროლას“ მიერ 20 წლის წინათ გამოშვებული სულ პირველი მობილური ტელეფონი. საინტერესო ნივთია, არა?

# ოზეკი

სუმოს ერთ-ერთი ამომავალი ვარსკვლავი, ტომით ბულგარელი კოტოოშუ გახლავთ. იგი იოგურტის განთქმული მერეკლამე გახლავთ, თუმცა გასულ კვირაში მან იოგურტის რეკლამაზე ბევრად მნიშვნელოვანი რამ მოახდინა: ისტორიაში მეორე ევროპელი შეიქნა, ოზეკის წოდება რომ მიიღო. ოზეკობიდან უმაღლეს საფეხურამდე, იოკუძუნობამდე ერთი ნაბიჯია. თუმცა ძალიან ძნელი.



AFP ფოტოები



AFP ფოტოები

# ჯეის საუკეთესო

იაპონიის ჯეი-ლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიელი თავდამსხმელი არაუჟო აღიარეს. არაუჟო ჩემპიონ „გამბა ოსაკაში“ თამაშობს და წლეულს 33 გოლი გაიტანა.

# ქამაზ-დაკარ



AFP ფოტოები

ეს რუსთა „კამაზის“ გუნდია, რომელიც ახლა ლისაბონს მიემგზავრება. იქ „კამაზი“ ლისაბონ-დაკარის 2006 წლის განთქმულ რალიში ჩაებმება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00